პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 34 (10731) | შაბათი, 9 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

# ადგილობრივი გაზეთების საბრძოლო ამოცანა

მშრომელთა ფართო შემოქმედებითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადება. ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ახალი, მნიშვნელოვანი ამოცანები დასახა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებები ითვალისწინებენ იმას, რომ კიდევ უფრო მძლავრად, მთელი შესაძლებლობით იქნას გამოყენებული სოციალისტური წყობილების, სოციალისტური სისტემის უპირატესობანი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც ამჟამად მოსკოვში განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, დამაჯერებლად მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული ჩვენი ხალხი სრული შემოქმედებითი ძალებით აღჭურვილი შევიდა მეექვსე ხუთწლედის მეორე წელიწადში.

საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში სერიოზული მოვალეობა აკისრია ჩვენს პრესას. საბჭოთა დემოკრატიის ფართოდ გაშლაში, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მასების დარაზმვაში ჩვენი პრესა ყოველთვის იყო და არის პარტიის ღირსეული თანამებრძოლი, მისი ძლავრი იარაღი. ჩვენი რესპუბლიკის სოლქო, საქალაქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი, ყოველის გაზეთები მოწოდებული არიან ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა. მათი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ღრმად განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რაც მიმართულია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ამაღლებისაკენ.

ადგილობრივმა გაზეთებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ საბჭოთა დემოკრატიის დიად პრინციპებს, მის უპირატესობას ყალბ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით, განუმარტონ მშრომელებს საბჭოთა კონსტიტუციის, როგორც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის, არსი, არჩევნების დებულება, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი. ჩვენი პრესის მთელი საგაზეთაციო-პროპაგანდისტული მუშაობა უნდა ემსახურებოდეს ადამიანებში საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმად შეგნების გაძლიერებას, მათს აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

ამჟამად ადგილობრივმა გაზეთებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გამოცდილების გაშუქებას, მათ მიერ ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათს ორგანიზატორულ მუშაობას.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის და წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ინიციატივით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ პატრიოტულ მოძრაობას ჩვენმა გაზეთებმა მხარი უნდა დაუჭირონ და იბრძოლონ მისი განვითარებისათვის, რესპუბლიკის მშრომელებს მოუთხრონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის გამოცდილებაზე, იზრუნონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მთლიანად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში საარჩევნო კამპანია ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების ლოზუნგით, პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის ბრძოლის ნიშნით. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას და შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებით უპასუხებენ მას საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე. ამჟამად გაზეთებმა მეტი ადგილი უნდა დაუთმონ მევენახეობა-მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის მოსამზადებელი მუშაობის, მინერალური და ორგანული სასუქების დამზადებისა და მინდვრად გატანის, თესლისა და ინვენტარის მომზადების, აგროზოო-სწავლების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აქტუალურ საკითხებს.

გაზეთებმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებზე — ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენაზე, არჩევნების ჩასატარებელი შენობების მომზადებაზე, აგიტპუნქტებისა და საარჩევნო უბნების გაფორმებაზე. საჭიროა ფართოდ გაშუქდეს აგიტპუნქტებისა და აგიტატორების საქმიანობა. უნდა ქვეყნდებოდეს კვალიფიციური კონსულტაციები და სტატიები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ის დიდი ცვლილებები, რაც ადგილობრივი საბჭოების გასული არჩევნების შემდეგ მოხდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას კარგად აშუქებს გორის საქალაქო გაზეთი „სტალინელი". ამას წინათ გაზეთმა ორი გაშლილი გვერდი დაუთმო მასალებს აგიტატორთა დასახმარებლად. ამ მიმართულებით ერთგვარ მუშაობას ეწევიან გურჯაანის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ონის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ბაგრის და სხვა რაიონული გაზეთები, რომლებიც ბეჭდავენ მასალებს არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოტას წერენ არჩევნებისათვის ორგანიზაციულ მზადებაზე.

მშრომელთა კრებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკვე დაიწყეს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა წამოყენება. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ხალხი ასახელებს თავის საუკეთესო წარმომადგენლებს. გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ წინასაარჩევნო კრებები, გაშალონ საგაზეთაციო მუშაობა წამოყენებულ კანდიდატთა სასარგებლოდ.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი გაზეთების ამოცანა ახლა ის არის, რომ ღრმად და საქმის ცოდნით გააშუქონ საარჩევნო კამპანია, დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს ამომრჩეველთა შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის უკეთ მოწყობაში, არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

## გრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მედიცინის მეცნიერებისა და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. **ანდღულაძეს** ვასილ ალექსის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
2. **ანთაძეს** ვლადიმერ სამსონის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
3. **ანთელავას** ნიკოლოზ ვარდენის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
4. **გრიგოლიას** ალექსანდრე ლუკას-ძეს — პროფესორს, კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორს
5. **ელიავშვილს** ლეონტი ვასილის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
6. **მენთეშაშვილს** ირაკლი ტიმოთეს-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორს
7. **სიხარულიძეს** ივანე ალექსის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
8. **ხრამელაშვილს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1957 წ. 31 იანვარი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

## კავშირის საბჭოში

7 თებერვალს დღის 4 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ნ. ტ. კალჩენკო.**

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ა. სუერკულოვს** (ყირგიზეთის სსრ). მიღწევები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, — ამბობს იგი, — დამაჯერებლად ცხადყოფენ, თუ რა გამჭრიახობით გამოავლინეს პარტიამ და მთავრობამ მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების ჩამორჩენის მიზეზები და დასახეს სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების გზები.

დაახასიათა რა ყირგიზეთის მშრომელთა წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია გასულ წელს, ამბ. სუერკულოვმა თქვა, რომ რესპუბლიკაში კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ რეზერვებსა და შესაძლებლობებს. რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გეგმის საერთოდ გადაჭარბებით შესრულებისას, 165 საწარმომ შარშან თავი ვერ გაართვა საწარმოო დავალებებს. რესპუბლიკის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ წარმოების გეგმას ასრულებდეს ყველა საწარმო, მოსავლიანობის გადიდების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების გეგმას — ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

დეპუტატმა **ნ. ი. სმირნოვმა** (ლენინგრადი) განაცხადა, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ლენინგრადის მრეწველობამ აითვისა 200-მდე ახალი ნიმუშის მანქანების, აპარატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების გამოშვება. გასულ წელთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 10,7 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა. ახლა საწარმოებში ჩაღდება ბრძოლა, რათა მეექვსე ხუთწლედში ერთიორად გადიდდეს საერთო პროდუქციის გამოშვება იმავე ფართობებზე და მუშათა იმავე რაოდენობით.

ეხება რა ადგილობრივი საბჭოების უფლებათა შემდგომი გაფართოების საკითხს, ამბ. სმირნოვი ამბობს, რომ მომწიფდა საჭიროება გადაისინჯოს დებულება ჩვენი ქვეყნის დიდი სამრეწველო რაიონების საგეგმო ორგანოების შესახებ. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უახლოეს ხანში უნდა შეიმუშაოს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების ახალი დებულება, რომელიც უფრო ფართო უფლებებს მიანიჭებს მათ. ეს გაუმჯობესებს საფინანსო საქმიანობას ადგილებზე.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს საბინაო მშენებლობის მუშაობაზე, რაც ლენინგრადში წარმოებს. ბევრი საწარმოს კოლექტივებმა დაიწყეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სამეურნეო წესით და მშრომელთა ფართო მონაწილეობით. მაგრამ ამ საქმეში საჭიროა სამინისტროების დახმარება.

დეპუტატმა **ნ. ი. სტრელნიკოვამ** (დნეპროპეტროვსკის ოლქი) თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა დნეპროპეტროვსკის ოლქის სამრეწველო საწარმოთა მუშაობას. აღნიშნავს რა საქარხანათაშორისო კოოპერაციის დიდ მნიშვნელობას პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, იგი აყენებს საკითხს ამ საქმეში დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ. მომიჯნავე ქარხნები არ უნდა იყვნენ ერთმანეთს ძლიერ დაშორებულნი, რადგან ეს მკვეთრად აძვირებს და აფერხებს ერთი ქარხნიდან მეორეში დეტალების გადაზიდვას.

ამბ. სტრელნიკოვა მოითხოვს მოწესრიგდეს მასალებით, ნედლეულითა და მოწყობილობით საწარმოთა მომარაგების სისტემა.

გამოდის დეპუტატი **კ. კ. ნიკოლაევი** (სვერდლოვსკის ოლქი). იგი ამბობს, რომ ოლქის სამრეწველო საწარმოებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ტექნოლოგიის წარმოების, ავტომატიზაციის გაუმჯობესებისა და ახალი კონსტრუქციების მანქანების შექმნისათვის. ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა განხორციელებამ შარშან შესაძლებლობა შექმნა გადაჭარბებით შესრულებულიყო დავალება შრომის ნაყოფიერების დარგში. მოწინავე საწარმოებმა პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირებით ასეულ მილიონობით მანეთი დაზოგეს. ეს წარმატებანი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, შესაძლებელი გახდა სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშა-მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობის მეოხებით. დეპუტატი ნიკოლაევი ასახელებს წარმოების ნოვატორებს. მათ შორის არიან ტრესტ „ვახრუშევუგოლის" ექსკავატორის მემანქანე ამბ. გორეხოვი, რომელმაც შარშან გეგმის გადაჭარბებით ამოიღო 50 ეშელონი ქვანახშირი, ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ამბ. ლუკიანოვი, რომელმაც ნადნობთა 56 პროცენტზე მეტი ჩქაროსნული მეთოდით გამოუშვა და გეგმის გადაჭარბებით მოგვცა 2.000 ტონა ფოლადი.

ამასთან ერთად, აღნიშნავს ორატორი, სვერდლოვსკის ოლქს სახალხო მეურნეობის ზრდის მნიშვნელოვნად მეტი შესაძლებლობა აქვს.

შემდეგ ილაპარაკა რა ოლქის მოსახლეობის სანატორიულ მომსახურებაზე, დეპუტატმა ნიკოლაევმა აღძრა ურალის კურორტ „სამოცვეტის" მშენებლობის დაჩქარების საკითხი.

დეპუტატი **ს. ბაბაევი** (თურქმენეთის სსრ) ამბობს, რომ რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება ნავთობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგები. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1956 წელს 1950 წელთან შედარებით 188,6 პროცენტით გადიდდა. თურქმენეთის ნავთობის მუშაკებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 93 ათას ტონაზე მეტი ნავთობი. ნედლი ბამბის წარმოებამ და დამზადებამ გასულ წელს მიაღწია 334 ათას ტონას, ანუ 54 ათასი ტონით მეტს, ვიდრე 1955 წელს. დიდდება ხორცის, რძის, მატყლის, კრაველის, აბრეშუმის პარკის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ბევრი სასოფლო-სამეურნეო არტელის ფულადი შემოსავალი 20-25 მილიონ მანეთს აღწევს.

ს. ბაბაევი ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და უწინარეს ყოვლისა, ბამბის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის უნდა შესრულდეს დიდი საირიგაციო მშენებლობა. მეექვსე ხუთწლედში დასახულია რესპუბლიკაში ათვისებულ იქნას 250 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, ამისათვის კი საჭიროა წყალი. ახლა წარმოებს დიდი მუშაობა ყარაყუმის არხის მშენებლობაზე, დასახულია წყალთა მეურნეობის მთელი რიგი სხვა ობიექტების აგება. ორატორი შენიშნავს, რომ ამ საქმეში საჭიროა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერიოზული დახმარება.

ტრიბუნაზეა სახელგანთქმული ტრაქტორისტი, ამჟამად რიბნოეს მტს-ის (რიაზანის ოლქი) დირექტორი დეპუტატი **დ. მ. გარმაში.** დარბაზი დიდი ყურადღებით ისმენს მის მღელვარე ნაამბობს საბჭოთა ქალების თავდადებულ შრომაზე, მათს აქტიურ მონაწილეობაზე კომუნისტურ მშენებლობაში. თავისი საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების მკაფიო მაგალითია საქმიანობა თვით დარია მათეს ასულისა, რომელიც უკვე 20 წელია მუშაობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და მესამეჯერ არის არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, ამბობს ამხ. გარმაში, გადაწყვიტეს 1957 წელს შეასრულონ რძის, ხორცის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების მეექვსე ხუთწლედის დავალებანი, რომლებიც გათვალისწინებულია 1960 წლისათვის, და მნიშვნელოვნად გაადიდონ პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

რიაზანის სოფლებში ახლა შესამჩნევია შესანიშნავი მოვლენა: თუ რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდობა სკოლის დამთავრების შემდეგ ისწრაფვოდა ქალაქში წასულიყო, ახლა კოლმეურნეობებში რჩება. ამჟამად ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელებში მუშაობს 20 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალწვილი, აქედან ოთხი ათასზე მეტმა საშუალო სკოლა დაამთავრა.

ამხ. გარმაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და ფართოდ გავრცელებას. ამ მიზნით პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკები ბევრჯერ გაემგზავრნენ მოსკოვის, სვერდლოვსკისა და სხვა ოლქების მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თავის მხრივ რიაზანის ოლქში იყვნენ ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის მუშაკები.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ვ. ვ. გრიშინს** — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს. იგი ლაპარაკობს პროფკავშირთა წინაშე მდგომ დიდ ამოცანებზე. პროფკავშირთა მოვალეობა ის არის, რომ მშრომელები დარაზმონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მეტი ყურადღება მიაქციონ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. პროფკავშირულ ორგანიზაციებს ესმით ეს ამოცანები და ყოველ ღონისძიებას მიიღებენ მათი წარმატებით შესრულებისათვის.

ამხ. გრიშინი აღნიშნავს, რომ შარშან მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოციალური დაზღვევის საქმის შემდგომი გაუმჯობესება. მათს მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირებმა.

ორატორი იუწყება, რომ მუშა-მოსამსახურეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების მოწყობისათვის წელს ასიგნებულია ორ მილიარდ მანეთამდე. ამ სახსრებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება რამდენიმე მილიონი მუშა და მოსამსახურე. წელს პროფკავშირები პიონერთა ბანაკებში და აგარაკებზე გაგზავნიან სამ მილიონამდე ბავშვს.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. ი. ბობროვნიკოვმა** ილაპარაკა დედაქალაქში საბინაო მშენებლობის დიდ გაქანებაზე. შარშან მოსკოვში აშენდა 1.360 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. წელს მოსკოველმა მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს მისცენ მოსკოველებს 1.800 ათასი კვადრატული მეტრი ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. სამშენებლო სამუშაოთა ასეთი მასშტაბები შესაძლებელი გახდა მეექვსე ხუთწლედის მეორე წლად, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგეგმა. ამავე დროს ნახორციელეს მოსკოვში საშენებლო და საპროექტო საქმის ძირეული რეორგანიზაციისათვის, საშენი მასალებისა და დეტალების მრეწველობის დიდი ბაზის შექმნის შედეგად.

კავშირის საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ი. გ. კებინი** (ესტონეთის სსრ), **მ. ა. ისკენდეროვი** (აზერბაიჯანის სსრ), **ა. ფ. ანტიპოვა** (ტულის ოლქი).

★ ★ ★

კრემლის დიდ სასახლეში მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. 8 თებერვალს პალატების ცალცალკე სხდომებზე გრძელდებოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში მხურვალედ იწონებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების დასახულ პროგრამას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს პროგრამა შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ამავე დროს ისინი ყაირათიანად უკეთებენ ანალიზს გასული წლის შედეგებს, აამჟღავნებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობის ნაკლოვანებებს და აღნიშნავენ მათი გამოსწორების გზებს. შეაქებენ წინადადებანი სახელმწიფო აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

★ ★ ★

დილის 10 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ვ. პ. მეჟლანაძე.** პირველი გამოვიდა დეპუტატი **ბ. ზ. ტანასევსკი** (მოლდავეთის სსრ), რომელიც შეეხო თავისი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს. მოლდავეთის მრეწველობის განვითარების ძლიერ ტემპს მოწმობს მთლიანი პროდუქციის გამოშვების განუწყვეტელი ზრდა. სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა გაუმჯობესებულიყო რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება ხორცით, რძით, ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით.

შემდეგ დეპუტატი ტანასევსკი ლაპარაკობს რესპუბლიკის დედაქალაქ კიშინიოვის საქალაქო მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ზოგიერთ გადაუდებელ საკითხზე.

დეპუტატი **ბ. ფ. ამანოვა** (უზბეკეთის სსრ) აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა ყოველმხრივ ითვალისწინებს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის რეალურ პერსპექტივებს, უზრუნველყოფილია მათი უფლებების შემდგომი გაფართოება, ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარება. მიმდინარე წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდება იზრდება 90 მილიონი მანეთით, ამასთან სახსრები უმთავრესად ხმარდება უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დამთავრებას. ერთიორად დიდდება საბინაო მშენებლობის მოცულობა.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ი. ი. მატულისს** (ლიტვის სსრ). იგი ამბობს, თუ რა უდიდესი ცვლილებანი მოხდა ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების მინდილზე. ახალ საბჭოთა ლიტვაზე, მის მიღწევებზე, ამბობს ამხ. მატულისი, ძალიან მკაფიოდ არის დაწერილი ურუგვაელ ლიტველთა ჯგუფის წერილში, ჯგუფისა, რომელიც ამას წინათ იყო რესპუბლიკაში: „ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ და დავწმუნდით, რომ ლიტვამ საბჭოთა ხალხის ოჯახში შესვლით აირჩია ყველაზე სწორი გზა, რომ მეცნიერება, კულტურა და ლიტერატურა გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ასეთი ზრდა ლიტვის ისტორიას არ ახსოვს. ჩვენ ვიგრძენით, რომ საბჭოთა ლიტვასა და კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკას შორის ნამდვილი მეგობრობაა".

თავისი სიტყვის დასასრულს დეპუტატმა მატულისმა დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ლიტვის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, მომწიფდა ენერგეტიკული მეურნეობის გაფართოების საჭიროება.

დეპუტატი **ნ. ნ. ორგანოვი** (კრასნოიარსკის მხარე) ხაზგასმით აღნიშნავს თავის სიტყვაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სესიის განსახილველად დასმულ საკითხებს არა მარტო მიმდინარე წლისათვის, არამედ მთელი მეექვსე ხუთწლედისთვისაც. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სესია სახალხო სამეურნეო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს განიხილავს ერთსადაიმავე დროს როგორც ერთ მთელს.

დეპუტატ ორგანოვის სიტყვაში დიდი ადგილი დაეთმო წარმოების რეზერვების გამოყენების საკითხს. ასეთი რეზერვები არის ყოველ საწარმოში, ყოველ ქალაქსა და რაიონში. მაგალითისათვის მას მოჰყავს თვითმავალი კომბაინების ქარხანა. კრასნოიარსკის სხვა საწარმოებთან კოოპერირებისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად ქარხნის კოლექტივმა შეძლო კომბაინების გამოშვება გაედიდებინა შარშან 8 ათას ცალამდე ნაცვლად 4.783 ცალისა, რაც ქარხანამ გამოუშვა 1955 წელს. წელს ქარხანა უკვე 10 ათას მანქანას გამოუშვებს. კომბაინების გამოშვება გადიდდა იმავე ფართობებზე, ისე რომ სახსრები არ დახარჯულა კაპიტალურ მშენებლობაზე.

დეპუტატმა **ი. პ. ბარდინმა** — ერთერთმა უხუცესმა საბჭოთა მეტალურგმა — თავისი სიტყვა მიუძღვნა შავი მეტალურგიის განვითარებას. გამოთქვა რა მთელი რიგი შენიშვნები მეტალურგიულ საწარმოთა მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის შესახებ, აკადემიკოსმა ბარდინმა ანალიზი გაუკეთა იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ჩერეპოვეცის ქარხნის გამოშვებული თუჯის ღირებულების გადიდება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საწარმოს რენტაბელობის გასადიდებლად აქ რაც შეიძლება მალე უნდა აშენდეს მარტენისა და საგლინავი საამქროები.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ვ. ა. ამბარცუმიანს** (სომხეთის სსრ). პარტიის XX ყრილობამ, ამბობს იგი, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ტექნიკური პროგრესის საკითხებს და მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვას. მეტად საჭირო, რომ ყოველი ახალი საწარმო წინგადადგმული ნაბიჯი იყოს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხარისხობრივ, ტექნიკურ ზრდაში. ასეთ წარმოებათა ორგანიზაციაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო დაწესებულებებმა. ორატორი ეხება პრობლემებს, რომლებზეც შრომობს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი.

დეპუტატი ამბარცუმიანი შემდეგ ამბობს, რომ პერსპექტიული დაგეგმვის ორგანოები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ნედლეულის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას, როგორც პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მძლავრ საშუალებას.

დეპუტატმა **ვ. გ. კოკეევინმა** (ყემეროვოს ოლქი) თქვა, რომ კუზნეცკის აუზის მეშახტეებმა შეასრულეს გასული წლის გეგმა და მთავრობის მიერ დაწესებული დამატებითი დავალება მეოთხედი მილიონი ტონა ქვანახშირის ოდენობით.

ამასთანავე კუზნეცკის აუზის შახტების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. გასული წლის განმავლობაში ქვანახშირს იღებდნენ არათანაბარზომიერად და კომბინატმა ვერ მიაღწია გეგმით დაწესებულ შრომის ნაყოფიერების ზრდას, ბევრ შახტში მთლიანად არ იყო გამოყენებული ტექნიკა. კუზბასის ქვანახშირი ბევრ სხვა აუზში ამოღებულ ქვანახშირზე იაფია, მაგრამ მისი თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობა ჯერ სულაც არ არის ამოწურული.

ახლა, ამბობს ამხ. კოკეევინი, მეშახტეთა ენერგია ხმარდება არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას. კუზბასის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე დამგეგმავმა ორგანოებმა და სამინისტროებმა. ცუდად მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს.

ბაშკირეთი ნავთობის მხარეა. ამიტომ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენელი დეპუტატი **ს. ი. კუვიკინი** პირველ რიგში შეეხო მუნავთობეთა მუშაობას. 1956 წელს მათ გაადიდეს საწვავის ამოღება 1955 წელთან შედარებით 18,6 პროცენტით და პირველი ადგილი დაიკავეს ჩვენს ქვეყანაში. აქ ამოღებულია ორჯერ მეტი ნავთობი, ვიდრე მეფის რუსეთში ამოიღეს 1913 წელს.

მუნავთობეთა მუშაობაში წარმატება შესაძლებელი გახდა ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების მეოხებით. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა და საძიებო ბ

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# ეროვნეგათა საგჭოში

## კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

## დეპუტატ მ. დ. ჩუბინიძის სიტყვა

**თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ**

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული ამოცანები. მუშათა კლასი, კოლმეურნეგლეხობა, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია უდიდესი აღფრთოვანებით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები სავსებით შეესაბამება ამ გადაწყვეტილებებს. ისინი ასახავენ წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გასულ წელს მიაღწიეს, და სახავენ ჩვენი სამშობლოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების პროგრამას, საბჭოთა კავშირის ხალხთა კეთილდღეობის ახალი აღმავლობის მიღწევის პროგრამას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას ერთსულოვნად მოიწონებს და მიიღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და კმაყოფილებით შეხვდება მთელი საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის ყოველ მშრომელს დიდად აღელვებს და ახარებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, რომლებიც გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა, უზრუნველყოფილია მრეწველობის განვითარების ტემპების ზრდა 11 პროცენტზე მეტით, მარცვლეულის მოსავალი 1955 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა. თვალსაჩინო წარმატებები მიღწეულია მეცხოველეობაში, ყამირი და ნასვენი მიწების უდიდესი ახალი მასივების ათვისებაში. ყოველივე ეს მტკიცე ბაზაა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შემდგომი წარმატებითი მშენებლობისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხების კეთილდღეობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

ახლა საბჭოთა წყობილების მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს შარშან საქართველოს მშრომელებმაც. საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, წინასწარი ანგარიშის მონაცემებით, შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 3.267.355 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 101,3 პროცენტით, გასავლის ნაწილში 3.232.398 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 100,3 პროცენტით.

საერთო პროდუქციის გამოშვებაზე გეგმა საქართველოს მრეწველობამ 102 პროცენტით შეასრულა. შარშან მწყობრში ჩადგნენ: ტყიბულის ჰესი, გუმათის მეორე ჰესი, რუსთავის ცემენტისა და აზოტოვანი სასუქების ქარხნები, დამთავრდა სოხუმ-სოჭის რკინიგზის ხაზის ელექტროფიკაცია. აშენდა მთელი რიგი ახალი საწარმოები.

წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში გადიდდა ქვანახშირის ამოღება, გადიდდა მეტალურგიული კოქსის, თუჯის, ნაგლინის, ცემენტის, ქაღალდისა და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

ასრულებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა შარშან განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად, მაღალი წარმადობის უახლესი მოწყობილობისა და მოწინავე ტექნიკის დასანერგავად. სამთამადნო მრეწველობის მთელი რიგი შრომატევადი პროცესები მექანიზებულია. საფეიქრო მრეწველობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ახალი ტექნიკა დაინერგა აგრეთვე ბამბეულის, ჩაის, მეღვინეობის, ხორცისა და რძის მრეწველობაში და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, რაც 1956 წელს 1955 წელთან შედარებით გამოიხატება 2,2 პროცენტით, და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება.

ზოგიერთი წარმატება მიღწეულია აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში. მიუხედავად განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობებისა, რესპუბლიკამ შარშან მაინც შეასრულა ყურძნის, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, მატყლის დამზადების გეგმები. შესრულებულია წველადობის გეგმა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო საწარმოთა მუშაობასა და სოფლის მეურნეობაში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია ცალკეული სამინისტროების, უწყებების, ზოგიერთი საწარმოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელების ცუდი მუშაობით, აგრეთვე იმით, რომ მეურნეობის ცალკეულ დარგებს არასწორად გეგმავს როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია, ისე სახელმწიფო ეკონომიური კომისია.

საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 1.028 საწარმოდან 292 საწარმოს 1956 წელს გეგმა არ შეუსრულებია. არ შესრულებულა ქვანახშირის, მარგანეცის ამოღების, ნაგლინის, აზოტოვანი სასუქების, ცემენტის, აგურის, ბამბის ქსოვილების წარმოების გეგმები, სამასალე მერქნის და ზოგიერთი სხვა ნაწარმის გამოშვების გეგმები.

თქმა არ უნდა, რომ გეგმის შეუსრულებლობაში ბრალი მიუძღვით ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ცალკეული სამინისტროების მინისტრებსა და მუშაკებს, უწყებათა მუშაკებს — თვითონ ჩვენ. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი მეურნეობის დაგეგმვაში. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

შარშან სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტს მისცა უმაღლესი სორტების მარგანეცის მადნის გამოშვების გეგმა იმის გათვალისწინებით, რომ მწყობრში ჩადგებოდნენ გამამდიდრებელი ფაბრიკა და მაღარო, რომლებიც შენდება. სამინისტრომ იცოდა, რომ ფაბრიკა და მაღარო საექსპლოატაციოდ ვერ იქნებოდა გადაცემული, მაგრამ გეგმა მაინც მისცა. სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობა გრძელდება წელსაც. ფაბრიკა და მაღარო უკეთეს შემთხვევაში გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, ხოლო ამ საწარმოებს გეგმები უკვე მიეცათ წლის დამდეგიდან.

მეორე მაგალითი. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ 1955 წლის მეორე ნახევრიდან მისცა ცემენტის გამოშვების გეგმა რუსთავის ცემენტის ქარხანას, ამაში როცა ეს საწარმო მხოლოდ 1956 წლის მაისის დამლევს ამუშავდა.

გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ის არის, რომ ნედლეულისა და მასალების მოწოდება დროზე არ სრულდება და ყოველთვის როდი შეესაბამება დაგეგმილ მაჩვენებლებს. მაგალითად, შარშან მარტო რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობებს ვერ მიაწოდეს ქვანახშირის წლიური ფონდის 12,1 პროცენტი, შავი ლითონის ფონდის 11 პროცენტი, ფერადი ლითონების 7 პროცენტი, ლითონის ნაწარმის 23 პროცენტი, შემდგომი გარდაქმნის ნაწარმთა 10 პროცენტი და ტყავნედლეულისა და სხვა მასალის 13 პროცენტზე მეტი.

ამხანაგო დეპუტატებო! ვფიქრობ, დროა ბოლო მოეღოს ასეთი არანორმალურობას. დროა ვისწავლოთ რიტმულად მუშაობა, დროულად და გეგმების შესაბამისად უზრუნველვყოთ საწარმოები მასალებით. საწარმოებს გეგმები უნდა მიეცეს მათი საწარმოო სიმძლავრის შესაბამისად, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი.

ამხანაგო დეპუტატებო! მინდა აგრეთვე შევეხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, მისთვის გეზის მიცემის ზოგიერთ აკითხს. მოვიყვან ციფრებს. საქართველოში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 48,8 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მაშინ როცა საშუალოდ საბჭოთა კავშირში მოდის 13,8 სული; ღორი 100 ჰექტარ სახნავზე საქართველოში მოდის 79,2 სული, საბჭოთა კავშირში — 25,4; 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ძროხა — 16,6 სული, საბჭოთა კავშირში — 6,0; ცხვარი — 55,8 სული, საბჭოთა კავშირში — 25,7.

ახლა ვნახოთ, რა ფასად გვიჯდება ესოდენ „საპატიო“ ადგილი და რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს რესპუბლიკის ცალკეული რაიონების ეკონომიკაზე. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახელმწიფო ეკონომიური კომისია მთელ რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებენ რესპუბლიკის შესაძლებლობებს და სწორად არ გეგმავენ მის სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების გეგმებს რომ ადგენენ, ისინი ყოველთვის როდი ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის და მთლიანად ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებით. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ცნობილია, ამხანაგო დეპუტატებო, რომ ჩაის კულტურა დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის ყველაზე რენტაბელური დარგია. რესპუბლიკის ეს ნაწილი სპეციალიზებულია კიდეევაც ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებაში. აქ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს სწორედ ამ კულტურების განვითარებას. ამას მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები და მთელი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები. მაგრამ მეცხოველეობის დარგში მოუფიქრებელი გეგმების შედეგად ჩვენ იძულებული ვართ ვიმუშაოთ მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც არ მოგვეპოვება არც საძოვრები, არც სათიბები. მიწის ძირითადი მასივები აქ დიდი ხანია ათვისებულია ჩაის, ტუნგოს, ეთერზეთოვანი და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურებისათვის. ამრიგად, ამ რაიონებში სრულიად არ მოიპოვება საკვები ბაზა სასაქონლო მეცხოველეობის განვითარებისათვის, და კოლმეურნეობები იძულებული არიან პირუტყვი შეინახონ ძირითადად ნაყიდი საკვებით. აი რამდენიმე მაგალითი. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან საკვებზე დახარჯეს 6.700 ათას მანეთზე მეტი, აქედან საკვების ყიდვაზე — 5.260 ათასამდე მანეთი. მეცხოველეობისაგან კი მიიღეს შემოსავალი 3.615 ათასი მანეთი. შაშასადამე, რაიონმა იზარალა 3.100 ათასი მანეთი.

მეორე ფაქტი. მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში საკვებზე დაიხარჯა 9.723 ათასი მანეთი, აქედან საკვების ყიდვაზე — 6.553 ათასი მანეთი, ხოლო მეცხოველეობისაგან მიღებულია 6.037 ათასი მანეთი შემოსავალი. საკვები აქ შემოაქვთ სტავროპოლის მხარიდან და სხვა ადგილებიდან.

როგორც ხედავთ, ამ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეობები დიდ ზარალს ნახულობენ არა იმიტომ, რომ მათ არა სურთ და არ შესწევთ უნარი აწარმოონ მეცხოველეობა, არამედ იმიტომ, რომ აქ არ არის შესაბამისი ბაზა მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ზუგდიდის, ლანჩხუთის, ბათუმის, გალისა და საქართველოს დასავლეთი ნაწილის სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

რამდენიმე სიტყვა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის არასწორი დაგეგმვისა და განლაგების შესახებ.

იმერეთის მეტ წილ რაიონებში ყოველგვარი პირობებია ძვირფასი კულტურის — ვაზის ინტენსიური განვითარებისათვის. ქართული ღვინოები, როგორც თქვენ იცით, განთქმულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მევენახეობა დიდად უწყობს ხელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობას. იგი დიდ შემოსავალს აძლევს აგრეთვე სახელმწიფოს. მაგრამ იმერეთის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების არასწორი დაგეგმვისა და განლაგების შედეგად მევენახეობის ყოველი ღონისძიებით განვითარების ნაცვლად მისდევენ მცირეშემოსავლიანი კულტურების წარმოებას, რომლებიც ამ ადგილების პირობებში დაბალ მოსავალს იძლევიან.

მოვიყვან მაგალითს. თერჯოლის მევენახეობის რაიონში ერთი ჰექტარი ვენახი საშუალოდ იძლევა 54 ცენტნერ ყურძენს. სიმინდი კი ჰექტარზე იძლევა 3-5, მაქსიმუმ 6 ცენტნერს. ერთი ჰექტარი ვენახის შემოსავალი შეადგენს 24-25 ათას მანეთს, ხოლო ერთი ჰექტარი სიმინდის შემოსავალი — 150 მანეთს.

ისმება კითხვა: რომელი კულტურის გაშენება უფრო მიზანშეწონილია ამ რაიონებში? რა თქმა უნდა, ვენახისა. ასეთი რაიონები კი, სადაც არასწორად არის განლაგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ვთხოვო სახელმწიფო ეკონომიურ კომისიასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დააჩქარონ ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების განხილვა და დადებითად გადაჭრა, როგორიც არის ჩაის მეურნეობის, მევენახეობისა და მეხილეობის შემდგომი განვითარება, აგრეთვე საქართველოს სსრ მთისა და საზღვრისპირა კოლმეურნეობებისადმი დახმარების ღონისძიებანი. ჩვენ ეს საკითხები დიდი ხანია დავამუშავეთ და შევიტანეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, მაგრამ მათ შესახებ დღემდე არ არის მიღებული გადაწყვეტილებანი. ერთხელ კიდევ მივმართავ თხოვნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რაც შეიძლება მალე განიხილოს ეს საკითხები და ჩვენი რესპუბლიკისათვის დადებითად გადაჭრას ისინი.

ამხანაგო დეპუტატებო! იცავენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისათვის. ამ ღონისძიებებმა უკვე მოგვცა კარგი ნაყოფი: გადიდდა რესპუბლიკების პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები. რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების და მათ გამგებლობაში საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა გადაცემის შედეგად გადიდდა საბიუჯეტო ასიგნობანი. მაგალითად, 1957 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, საქართველოსათვის ითვალისწინებს შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 3.596.537 ათას მანეთს, რაც 11,3 პროცენტით აღემატება 1956 წლის შესრულებული ბიუჯეტის თანხას. 1957 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია, რომ სახალხო მეურნეობის დაფინანსება 1956 წელთან შედარებით გადიდდეს 4,2 პროცენტით, აქედან მრეწველობის დაფინანსება 9,6 პროცენტით და სოფლის მეურნეობის დაფინანსება 15,5 პროცენტით.

1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გადიდება 1956 წელთან შედარებით 6,6 პროცენტით.

ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სსრ 1957 წლის ბიუჯეტის პროექტში მთლიანად არ არის გათვალისწინებული რესპუბლიკის მოთხოვნილებანი ზოგიერთი საწარმოს დაფინანსებაზე. ვთხოვ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტში შემდეგი დამატებითი ასიგნობანი.

ქალაქებისა და რაიონული ცენტრების, მუშათა დაბების კეთილმოწყობისა და საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის ადგილობრივ საბჭოებში — 10 მილიონი მანეთი. ჩვენში საცხოვრებელი ფართობის მწვავე ნაკლებობაა. თქვენ იცით, რომ თბილისი უძველესი ქალაქია, რომელიც 1.500 წელიწადია არსებობს. მის მთელ რიგ რაიონებში მეტწილად დაძველებული საცხოვრებელი სახლებია. ამიტომ გთხოვთ რესპუბლიკის ბიუჯეტში დამატებით გაითვალისწინოთ 1957 წლისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში — 70 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები სავსებით შეესაბამებიან ჩვენი დიადი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესებს. ამ გეგმებით დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას.

ვუერთებ ჩემს ხმას აქ გამოსულ დეპუტატებს და შემომაქვს წინადადება: დამტკიცდეს 1957 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები.

ვფიქრობ გამოვთქვამ საერთო აზრს, რომ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად და მტკიცედ გასწევს წინ თავისი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. **(ტაში).**

# სსრ კავშირიდან გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ. ა. ფაგერჰოლმი

ლენინგრადი, 6 თებერვალი. (საკ-დესი). დღეს სსრ კავშირიდან სამშობლოში გაემგზავრნენ ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ. ა. ფაგერჰოლმი და მისი თანმხლები პირები.

ფინეთის პრემიერ-მინისტრს გულთბილი გაცილება მოუწყეს ლენინგრადში. მოსკოვის ვაგზალში შეიკრიბნენ ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კ. ა. ფაგერჰოლმმა გულითადი მადლობა გადაუხადა ლენინგრადელებს სტუმართმოყვარეობისათვის და მოკლე სიტყვით მიმართა მათ.

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად



**თბილისის მაკარონის ფაბრიკის** დიდი ოქტომბრის სოციალისტური დავალებების შესასრულებლად. ნი. მათ შორის არიან წნეხზე 150-200 პროცენტით ასრულებს, შემფუთველი ე. დევშინა მარჯვნივ): ა. კენჭაძე თავის სამუშაო ვერმიშელის შემფუთველები ე. დევშინა და ა. ჯიხვიშვილი მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

**რევოლუციის** ამ ბრძოლაში მომუშავე ა. ბრიგადირი. **ა. ჯიხვიშვილი.** **სურათზე** (მარცხნიდან: ბრიგადირი-მწონავი თ. კოკნაძე, ვერმიშელის კოლოფებით ადგილზე; ბრიგადირი-მწონავი თ. კოკნაძე, ბრიგადირი-მწონავი თ. კოკნაძე, ვერმიშელის კოლოფებით

**კოლექტივმა** ფართოდ გააჩაღა ბრძოლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური **მე-40 წლისთავის** აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. **კენჭაძე,** რომელიც ყოველდღიურ დავალებებს ნი. მათ შორის არიან **150-200** პროცენტით ასრულებს, **ბრიგადირი-** **მწონავი** თ. **კოკნაძე,** ვერმიშელის **კოლოფებით** **შემფუთველი** ე. **დევშინა** და **შემფუთველი** **ა. ჯიხვიშვილი.** **სურათზე** (მარცხნიდან: **ა. კენჭაძე** თავის **სამუშაო** **ადგილზე;** **ბრიგადირი-მწონავი** **თ. კოკნაძე,** **ვერმიშელის** **შემფუთველები** **ე. დევშინა** **და** **ა. ჯიხვიშვილი** **მუშაობის** **დროს.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# პირველი ნაგიჯები, პირველი შედეგები

რაღაც ათიოდე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დეპოელებმა მიტინგზე მქუხარე ტაშით, მხურვალე გულით და საქმიანი ვალდებულებებით დაუდასტურეს თავიანთი მზრდაჭერა რუსთაველის მეტალურგებს. ათიოდე დღე გავიდა, რაც ისინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ.

საამქროებში და მთელ დეპოში მრავალი სიახლე განხორციელდა, ბევრი რეზერვი გამოავლინეს. საქმის მოთავეებად სიახლის დაუცხრომელი მაძიებლები — გამომგონებლები და რაციონალიზატორები გამოვიდნენ.

აი საქვაბე საამქროს სამილე განყოფილება. რამდენი ხანია მექვაბეები ფიქრობდნენ, რომ ალმილების ბოლოების დამუშავების ტექნოლოგია შეეცვალათ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. დიდი ხანი არ არის, რაც ოსტატ ი. გეგიას და ინჟინერ ა. მარგიშვილის წინადადებით მილების ბოლოებს ცხელად კი არ ამუშავებენ, როგორც აქამდე,— ცივად წნეხავენ. რა შედეგი მიიღეს? დიდი. თვითეულ ოპერაციას რამდენიმე დღის წინათ 25 წუთი მაინც სჭირდებოდა, ახლა კი, რაც ცივად წნეხავენ, 2-3 წუთში ამთავრებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ წესლიწადში 4-5 ათას ასეთ მილს ამზადებენ, მაშინ ნათელი გახდება დანერგილი წინადადების ნაყოფი. მაგრამ მათ მარტო დრო როდი მოიგეს! ალმილების ხარისხი ახლა გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო. გარდა ამისა, საგრძნობლად შემსუბუქდა მექვაბის შრომის პირობები. ეს ღონისძიება ფულადი თანხების მნიშვნელოვან ეკონომიასაც იძლევა. ამავე საამქროში გამომგონებელ ბ. აბრამიას პროექტით გაკეთდა ბურთულ-საკისრებიანი სპეციალური ურიკა, რომლითაც საამქროდან საამქროში ალმილები გადაადგილებენ. მანამდე ამ ნაწილების ტრანსპორტირება პრიმიტიული წესით ხდებოდა. ახლა ერთი ასეთი ურიკით იმდენი მილები გადაადგილებენ, რამდენსაც წინათ ოთხი-ხუთი გზა სჭირდებოდა.

იშვიათად გაიმართებოდა დეპოში ისეთი თათბირი ან კრება, რომ აწევითი შეკეთების საამქროს ზეინკლები არ წამომდგარიყვნენ და არ მოეთხოვათ: დაგვაწყდა ხელები გოგორწყვილის მრუდმხარას თითების ქლიბვაში, გააკეთეთ სპეციალური მოწყობილობაო. ასე გრძელდებოდა წლობით. 4 თებერვალს ოსტატ ი. გეგიას წინადადებით დამზადებულ გადასაადგილებელ ჩარხზე პირველად დაამუშავეს მრუდმხარას თითები. მათი შეკეთების ხარისხი ახლა იმდენად ამაღლდა, რომ ლილვების საკისრების მუშაობის ხანგრძლივობა ერთიორად გადიდდა, სანაცვლოდ შემცირდა გაჩარხვის ოპერაციის დრო. წლიური ეკონომია 25 ათას მანეთზე მეტს მოაღწევს.

უკანასკნელ ხანებში წარმოებაში დაინერგა აგრეთვე ზეინკალ ვ. მოზგოვის, ოსტატ შ. ხიზანაშვილისა და სხვების წინადადებები. საამქროებში განხორციელდა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებიც.

საქმიანად და მაღალ დონეზე ჩაიარა ტექნიკურმა კონფერენციამ თემაზე: დეპოს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების როლი შეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. დეპოელები ემზადებიან მორიგი კონფერენციისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დასანერგავად სწავლობენ დეპოს ნოვატორი ზეინკლების ბ. ხმიადაშვილისა და პ. მაზმიშვილის, მძიმეწონოსნის ნ. პეტრენკოს, ლ. გურასაშვილისა და სხვ. მუშაობის მეთოდებს.

დეპოელები ბეჯითად მეცადინეობენ ლოკომოტივის შეკეთების, მძიმე წონის შემადგენლობათა ტარების, უხიფათო მოძრაობის წესების შემსწავლელ ტექნიკურ წრეებში. ადგილობრივ სპეციალისტთა გარდა, მსმენელებისათვის ლექციებს კითხულობენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები შ. ჯანჯღავა და ლ. კოჩეჩაშვილი.

აი ჯერჯერობით რა შედეგები გამოიღო ყველა იმ ღონისძიებამ, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი:

**იანვარში სადღეღამისო გარბენამ ვალდებულებით ნაკისრი 243 კილომეტრის ნაცვლად შეადგინა 245,3 კილომეტრი, ხოლო ტექნიკური სიჩქარის ნორმები გაიზარდა 0,3 პროცენტით. აწევითი შეკეთებიდან წლიური გეგმის გადამეტებით გამოსაშვები 8 ორთქლმავლის ანგარიშში უკვე შეკეთებულია ერთი ორთქლმავალი. გარეცხვითი შეკეთებიდან წლის ბოლომდე დავალების გადამეტებით უნდა გამოუშვან 80 ორთქლმავალი, იანვარში გამოუშვეს 7 ორთქლმავალი, ხოლო თვითეული მათგანის რემონტში დგომის დრო ვალდებულებით ნაკისრი 40 წუთის ნაცვლად 54 წუთით შეამცირეს.**

წარმატებათა მოპოვებაში თავი ისახელეს მემანქანეთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ უფროსი მემანქანეები ნ. პეტრენკო, ლ. გურასაშვილი და ს. ფარქოსაძე. მათ იანვარში ათ-ათზე მეტი მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და 2.200-3.500 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს. ზეინკლებიდან საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები აქვს ბ. ხმიადაშვილს, ხარატებიდან — ვ. მონასელიძეს, ჩამომსხმელებიდან — ვ. ბუთხუზს.

გადადგმულია პირველი ნაბიჯები, მოპოვებულია პირველი მიღწევები. მაგრამ არის ზოგიერთი მაჩვენებელი, რომლითაც ვგებულობთ, რომ თუმცა გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგრამ ვალდებულება გაუნაღდებელია. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, აწევით შეკეთებაში ორთქლმავლის დგომის დროის მხრივ.

გუშინწინ დეპოში მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მიიღეს. ცნობაში ნათქვამია: გზათა სამინისტრომ და რკინიგზის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის მაღალი საწარმოო წარმატებები 1956 წლის მეოთხე კვარტალში და რწმენას გამოთქვამენ, რომ დეპოელები კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძოლებენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის.

ვუსურვოთ მათ წარმატება!

**ს. ხარაზიშვილი.**

# მოსავლიანობის გადიდების რეზერვები

ჩვენმა კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. უკეთესი წარმატებები გვექნებოდა, მთლიანად რომ გამოგვეყენებინა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი.

ამ რეზერვების გამოყენების შესახებ მსჯელობა გაიმართა ამას წინათ გამართულ კოლმეურნეთა კრებაზე, რომელმაც განიხილა წითელწყაროელთა პატრიოტული მიმართვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წითელწყაროელთა თაოსნობას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სოფელ წყალაფორთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან და იკისრეს: წელს საშუალოდ ჰექტარზე ძოიყვანონ 15 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა, 50 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 40 ცენტნერისა, გააშენონ 2 ჰექტარი ახალი ვენახი, საშუალოდ ერთ საფუარაე ძროხაზე მიიღონ 1.000 ლიტრი რძე, გეგმა კი 700 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს, თვითეულ დედაღორზე მიიღონ 15 გოჯი, გასუქონ 30 ღორი თვითეული საშუალოდ 80 კილოგრამი წონისა.

უკვე შევუდექით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ერთ ჰექტარზე საფენახედ გადავბრუნეთ მიწა, გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო თესლის მომზადება და სასოფლო-სამეურნეო მანქანიარაღების რემონტი.

პირობას ვიძლევით წელს საგაზაფხულო თესვა და სხვა სამუშაოები ჩავატაროთ აგროტექნიკურ ვადებში და მოვიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი.

**რ. ქაბუკია,**
**ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხიდრის კუთაისელის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

# დაიწყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება

## რაიონის მოწინავე ადამიანები

გუშინ საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიეძღვნა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებას.

ორას კაცზე მეტმა მოიყარა თავი სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრებაზე. სიტყვას იღებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ფოჩიანი.

—რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს იგი, — ვასახელებ ჩვენი კოლმეურნეობის მეინდვრეობის № 1 ბრიგადის მოწინავე მერგოლურს ანა ალექსის ასულ ხაბაზიშვილს. მას თვითეული ჩვენგანი კარგად იცნობს; გასულ სამეურნეო წელს 309 შრომადღე გამოიმუშავა, მიჩენილ 1,4 ჰექტარ ფართობზე მიიღო 3.444 კილოგრამი სიმინდი მარცვლად.

ამხ. ა. ხაბაზიშვილის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხანაგებმა გ. განჯაშვილმა და ვ. ყანდინაშვილმა.

კრებამ ერთხმად გადაწყვიტა წამოაყენოს ანა ალექსის ასული ხაბაზიშვილი რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და სთხოვა მას დეპუტატობაზე კენჭი იყაროს საგარეჯოს რაიონული საბჭოს არჩევნების № 16 საარჩევნო ოლქში.

ამავე დღეს წინასაარჩევნო კრებებზე რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ხაშმის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარდო ანდროს ასული ნიკოლაშვილი, კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ვახტანგ ივანეს-ძე ქარუმიძე, საგარეჯოს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მოწინავე მუშა ვენერა გიორგის ასული თამაზიშვილი, რაიონში ცნობილი მექანიზატორი შალვა დავითის-ძე პეპიაშვილი და სხვები. („კომუნისტის კორ.).

# პირველი კანდიდატები

გასული სამეურნეო წელი თვალსაჩინო მიღწევებით დაამთავრა მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. მისმა შემოსავალმა 9 მილიონ მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე მარტო ფულად 31 მანეთი განაწილდა. არტელის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის თავმჯდომარეს აგრონომ მიხეილ ტაკიძეს. ამიტომ იყო რომ გუშინ, როცა კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრება გაიმართა, კოლმეურნეებმა მიხეილ ტაკიძე ერთსულოვნად წამოაყენეს მახარაძის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილ კრებაზე, რომელიც სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობაში გაიმართა, პირველი სიტყვა აიღო კოლმეურნე ა. გირკელიძემ.

— დეპუტატობის კანდიდატად, — განაცხადა მან, — ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ისეთი ადამიანი, ვინც ხალხის ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს, ვისაც შეუძლია პატიოსნად ემსახუროს მშრომელებს. მე ასეთ ადამიანად მიმაჩნია ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ვალიდა მიხეილის ასული მოლარიშვილი და მას ვასახელებ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ა. გირკელიძის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი კოლმეურნე ე. ჭანიშვილმა და აგრონომმა შ. ღლონტმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება წამოაყენოს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. მ. მოლარიშვილი და თხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე მახარაძის რაიონული საბჭოს არჩევნების № 22 საარჩევნო ოლქში.

რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებმა, რომლებიც გუშინ შედგა, მახარაძის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს აგრეთვე პარტიის მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი მ. დ. სიმულიდი. („კომუნისტის“ კორ.).

# მოხსენებები, საუბრები, გამოფენები

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში ამომრჩეველთან საგაგტაციო ძუშობას ეწევა 450 აგიტატორი. ისინი ამომრჩეველს განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, მიმართულს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მკვეთრი ამაღლებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით შეიქმნა 52 აგიტპუნქტი. აქ მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები, გამოკრულია დიაგრამები, სქემები და სხვა თვალსაჩინოებანი, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიღწევებს, ეწყობა ლექციები საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე. (საქდესი).

## ახალციხის რაიონში

### ⊙

### ძმობის სახლი

ასე ეძახიან ახალციხეში ქვანახშირის სადაბო ცენტრ ვალეში ახლადაგებულ ორსართულიან სახლს, სადაც 13 ეროვნების — რუსი, ქართველი, უკრაინელი, უზბეკი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა ახალგაზრდა მეშახტე ცხოვრობს. ფაქიზად არის მოწყობილი მეშახტეთა ოთახები, სადაც დგას ლამაზი კარადები, ნიკელის საწოლები, რადიომიმღები, წითელ კუთხეში არის მრავალი ჟურნალ-გაზეთი. აქვეა საპატიო ადამიანთა წიგნი, რომელიც სახლის მობინადრეთა შრომითს წარმატებებზე იუწყება.

### კოლმეურნეები ახალ სახლებს იშენებენ

გასულ წელს კოლმეურნეებმა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან სესხად მიიღეს 250.000 მანეთი. ამ თანხით კეთილმოწყობილი სახლები აიშენა 40 კოლმეურნემ, ხოლო პირადი დანაზოგით—100-ზე მეტმა კოლმეურნემ. ახალი სახლებით დამშვენდა სოფლები წყალთბილა, პატარა და დიდი პამაჯა, მუსხა და ქვემო სხვილისი.

### სოფლების ელექტროფიკაცია

საქსოფლელექტროს ახალციხის სარაიონთაშორისო კანტორას ელექტროშუქი გაჰყავს რაიონის ექვს კოლმეურნეობაში. გასულ წელს დამთავრდა 12 საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 6 სოფლისა. ამ ცოტა ხანში ელექტროშუქი მიიღეს ახალციხის რაიონის მაღალმთიან სოფლებში — დიდ და პატარა პამაჯაში, ორალში, კულალისში, ახპინძის რაიონის სოფლებში თმოგვში, ერკოტაში, ძველში, ჯობარეთში, ახალქალაქის რაიონის სოფლებში ხორნაიში, დახჩოში და ოლავერდში. დამთავრდა აგრეთვე ბარალეთისა და ახალციხის მტს-ების ელექტროფიკაციის სამუშაოები.

### პირუტყვის ახალი ბინები

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომების მშენებლობის გასული წლის გეგმა 192 პროცენტით შეასრულეს, სახბორეებისა — 254 პროცენტით, ცხვრის ბინებისა — 133, ხაღორეებისა — 120 და საფრინველეებისა — 108 პროცენტით. ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის ააგო ორი ბოსელი, სოფლების ნაოხრების, წინუბნის, ტყემლანის კოლმეურნეობებმა ააგეს კეთილმოწყობილი ცხვრის ბინები, ხოლო საძელის, ურავლის, ტატანისის, წოთხევის კოლმეურნეობებმა — საღორეები.

ე. ხარებავა,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# მექანიზაგორთა ახალი კადრები

სურამი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურამის მექანიზაციის სკოლა ცნობილია როგორც სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების კერა. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ენერგიულად და საქმის ცოდნით მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებში სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებად, ტრაქტორისტებად, მექანიკოსებად, კომბაინერებად და სხვ.

ამ დღეებში მექანიზაციის სკოლის ერთწლიანი სწავლების კურსი დამთავრა და ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანის წოდება მიიღო 202 ახალგაზრდამ. კურსდამთავრებულთაგან 82 სწავლის ფრიადოსანი და კარგოსანი იყო. ამათგან 32 ახალგაზრდა შარშან ზაფხულში მივლინებული იყო ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად. კარგი მუშობისათვის ყველა მათგანი დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით და სამკერდე ნიშნებით.

# სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი

### ვ. ი. ჩაპაევის დაბადების 70 წლისთავი

სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში ხალხიდან გამოვიდნენ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული სამხედრო ხელმძღვანელები, შესანიშნავი მეთაურები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უცხოელი ინტერვენტებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლებში. მათ შორის გამოირჩევა ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევი, რომელიც სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირია. მან მთელი თავისი ენერგია, ძვირფასი სიცოცხლე შესწირა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეს, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვას შინაური და გარეშე მტრებისაგან. ვ. ი. ჩაპაევი დაიბადა 1887 წელს სოფელ ბუდაიკეში (ყაზანის გუბერნია) ღარიბი გლეხის ოჯახში. მან ბავშვობიდანვე დაიწყო შრომითი ცხოვრება და შეიძულა უსაქმური ადამიანები. ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, იგი იყო მწყემსად, მუშაობდა დურგლად და ა. შ.

ვ. ჩაპაევი 1908 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში და ერთხანს იქ მსახურობდა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მას ისევ იწვევენ არმიაში და გზავნიან გერმანიის ფრონტზე, სადაც იგი თავს იჩენს როგორც მამაცი მებრძოლი. ამისათვის მას მიანიჭეს უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდება.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, 1917 წელს ჩაპაევი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და ამ დროიდან მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას უკავშირებს მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციაში. ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში იგი იმყოფებოდა ქ. ნიკოლაევსკში (ახლანდელი პუგაჩევი) და გმირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ვ. ჩაპაევმა 1917 წლის დეკემბერში ადგილობრივი ღარიბებისაგან შექმნა რაზმები, რომლებიც შემდეგში გმირულ ბრძოლებს ეწეოდნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ჩაპაევი მალე გახდა პოლკის კომისარი და ქ. ნიკოლაევსკის „კომუნის“ სამხედრო კომისარი. მან სამოქალაქო ომის მძიმე წლებში თავი გამოიჩინა როგორც ჯარების გაძღოლის ოსტატმა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა, მამაცმა და უშიშარმა სარდალმა, რომელიც არნახული პირადი გმირობითა და გაბედულებით აღფრთოვანებდა და აღაგზნებდა თავისი ნაწილების მებრძოლებსა და მეთაურებს. სამოქალაქო ომის ფრონტებზე, სადაც ჩაპაევი მისი მებრძოლებით გამოჩნდებოდა, ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო მტერზე გამარჯვება. მან აგრეთვე დიდი მუშაობა გასწია წითელი არმიის რეგულარული ნაწილების შესაქმნელად.

ჩაპაევმა, ამ ნიჭიერმა თვითნასწავლმა სამხედრო ხელმძღვანელმა, ხანმოკლე დროის განმავლობაში შესანიშნავი გზა განვლო. აღმოსავლეთის ფრონტის მეოთხე არმიის ორგანიზაციის დროს იგი დანიშნული იყო პუგაჩევის ბრიგადის მეთაურად, რომელიც 1918 წელს გმირულად იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ურალში და ვოლგისპირეთში.

ხანმოკლე დროის განმავლობაში 1919 წელს ჩაპაევი სწავლობდა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში. შემდეგ იგი დაინიშნა აღმოსავლეთის ფრონტის 25-ე დივიზიის მეთაურად. ამ დივიზიამ დიდი როლი შეასრულა 1919 წლის ზაფხულში თეთრგვარდიელთა ჯარების განადგურების საქმეში. ჩაპაეველებმა გადალახეს მდინარე ბელაია და უეცრად დაესხნენ თავს ქალაქ უფას, რომელიც აიღეს 9 ივნისს. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაპაევი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მას ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. ბრწყინვალე საბრძოლო წარმატებისათვის ჩაპაევი დაჯილდოებულ იქნა „წითელი დროშის“ ორდენით.

ვ. ი. ჩაპაევი.

* * *

უფასთან კოლჩაკის განადგურების შემდეგ ჩაპაევის დივიზია გადაყვანილ იქნა ფრონტის ურალის უბანზე, სადაც თარეშობდნენ კაზაკი თეთრგვარდიელები. 12 ივლისს ჩაპაეველებმა გმირული ბრძოლებით აიღეს ურალსკი და განაგრძობდნენ მტრის შებერტყილი ნაწილების დევნას. ხანგრძლივ და შეუსვენებელ ბრძოლებში, სურსათის ნაკლებობის გამო ჩაპაეველები ძალიან მოიქანცნენ, ბევრი ჯარისკაცი დაავადდა. ჩაპაევმა გადაწყვიტა ცოტა ხნით შეესვენებინა თავისი დივიზიის მებრძოლები. გამცემთა საშუალებით თეთრებმა გაიგეს დივიზიის შტაბის ადგილსამყოფელი და ღამით მოულოდნელად დაესხნენ მას თავს. ხუთი საათის გმირული ბრძოლის შემდეგ მძიმედ დაჭრილმა ჩაპაევმა მებრძოლთა ჯგუფთან ერთად სცადა გადაეცურა მდინარე ურალი, მაგრამ დაიხრჩო. ასე დაიღუპა სამოქალაქო ომის ეს სახელოვანი გმირი.

სამოქალაქო ომის ისტორიამ შემოგვინახა ვ. ჩაპაევის მხედრული ოსტატობის, მოხერხებულობის, მისი მახვილი მოსაზრებულობის არაერთი მაგალითი. აი ერთი მათგანი: შემოდგომა იდგა. ურალსკთან დივიზია უტევდა თეთრგვარდიელთა ბანაკს. ჩაპაევის დივიზიის რაზენაც პოლკი მეუღლესდ ხუტორს, სადაც გამაგრებული იყვნენ თეთრგვარდიელები. მოსეფის ჯარებისათვის აუცილებლად საჭირო იქნა ხუტორის აღება. თეთრები ჩასანგრებული იყვნენ ღრმა თხრილებში, რომლებსაც შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთულხლართები.

ჩაპაევს დაებადა გაბედული აზრი — თვითონ გამოწყობილიყო გენერლის ტანსაცმელში, გაეკეთებინა სამხრეები, წითელი ცხენოსნებისათვის კი ჩაეცმია თეთრგვარდიელების ფორმა. მართლაც, ასეთი ფორმით გამოწყობილნი ისინი გვიან ღამით შევიდნენ მტრის განლაგებაში. გენერლის სამხრეები რომ დაინახეს, გუშაგებმა არც კი მოსთხოვეს საშვები, ისე გაატარეს ისინი ხუტორში. შტაბის ახლოს ერთმანეთში ირეოდნენ თეთრი ოფიცრები. ერთმა მათგანმა უპატაკა გენერალს. როცა კავალერისტები მათ გარს შემოერტყნენ, ჩაპაევმა იძრო ორი რევოლვერი და ხმამაღლა შესძახა: — დაგვნებდით, მე ჩაპაევი ვარ!... გაოგნებულმა ოფიცერმა ხელები ასწია, მას სხვებიც მიჰყვნენ; გაისმა სამი გასროლა — პირობითი სიგნალი და ჩაპაეველები ყოველი მხრიდან ეკვეთნენ ხუტორს. ძლიერ გამაგრებული ხუტორი თითქმის უბრძოლველად იქნა აღებული.

ლეგენდარული დივიზიის მეთაურის ვ. ჩაპაევის სახელი უკვდავყოფილია დ. ფურმანოვის რომან „ჩაპაევში“ და ამავე სახელწოდების კინოფილმში, რომელშიც შესანიშნავად არის ნაჩვენები ჩაპაევის დამსახურება ჩვენი პარტიის, ხალხის, სამშობლოს წინაშე.

გმირი სარდლის ვ. ჩაპაევის სახე სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში. მისი საბრძოლო ტრადიციები მუდამ ცოცხლობს და იცოცხლებს საბჭოთა არმიის მეთაურთა და მებრძოლთა გულში.

კ. გალანჩიკაძე.

ქ. პუგაჩევოში, იმ სახლში, სადაც ვ. ი. ჩაპაევი და მისი ოჯახი ცხოვრობდა, ახლა გახსნილია მისი სახლი-მუზეუმი. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის მოახლოებასთან დაკავშირებით აქ ბევრი მნახველი მოდის. ესენი არიან სამოქალაქო ომის მონაწილეები, საბჭოთა არმიის ჯებრძოლები და მეთაურები, ჟურნალისტები და ბრიგადა სხვა სტუმარი. ჩაპაევის ქალიშვილი კლავდია მნახველებს მოუთხრობს თავისი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სურათზე: კ. ვ. ჩაპაევი (მარჯვნივ) და სახლ-მუზეუმის დირექტორი ვ. ი. სიჩი.

# თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლი

### თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამ ცოტა ხანში ხუთი ახალი ქართული პიესა დადგა. ჩვენ გვხიბლავს არა წარსულისათვის უჩვეულო ეს რიცხვი (რამდენადაც თეატრში მარტო ახალ დადგმათა რაოდენობა კი არა, მათი ხარისხი ქმნის ამინდს, ხოლო ამ მხრივ ყოველთვის არ იყო სახარბიელო მდგომარეობა), არამედ ის უცილობელი და პრინციპული შემობრუნება თანამედროვეობისაკენ, რაც ამ რაოდენობის უკან იმალება და რაც მომავალ გამარჯვებათა უტყუარი საწინდარია.

ქართული საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებამ რამდენიმე თანამედროვე პიესაში ჰპოვა ასახვა. მართალია, ამ პიესათა უმრავლესობა არა იმდენად დადებითი გმირების ჩვენებას ისახავდა მიზნად, რამდენადაც ახალგაზრდობის ზოგიერთ წრეში ფეხმოკიდებული უარყოფითი ტენდენციების მხილება-გაკიცვას, მაგრამ ესეც მეტად საჭირო საქმეა. სწორედ ასეთი მიზანდასახულობა აქვს გ. ბერძენიშვილის პიესას „ლერწამი ქარში“, რომელიც ჯანსაღი კრიტიციზმით გამოირჩევა და აღმზრდელობითი მნიშვნელობის ნაწარმოებია.

დრამატურგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის პიესაში ვერ შეხვდებით გაშაქარებულ დიდაქტიკას და შაბალ, რეზონიორულ დამრიგებლობას. ავტორისეული იდეები ბუნებრივად მეკვანდება გმირთა საქციელში და, მოქმედებით გადმოცემულნი, შეთხზულ, მოჩალსტურ ამბად კი არ აღიქმებიან, არამედ ცხოვრებიდან ამოღებულ მართალ სურათად, რომელიც ჭაბუკთა ყოფის არაერთ საჭირბოროტო საკითხზე გვაფიქრებს.

პიესის მოქმედების ცენტრში ორი მკვეთრად განსხვავებული ხასიათია მოქცეული — ყოყლოჩინა ეგოისტი ნოდარი და პატიოსანი, გამრჯე მამია. ბრძოლა მათ შორის პიესის ძირითად კონფლიქტს ქმნის. დედის ნებიერმა აღზრდამ და მამის უყურადღებობამ შრომისმოყვარეობის, მოქალაქეობრივი შეგნებულობის და პატიოსნების მაგიერ ნოდარში ინდივიდუალიზმი, სიზარმაცე და ამპარტავნობა დანერგა. ამიტომ არის, რომ მამიას გამგზავრებისთანავე თავნება ნოდარი მეგობრის საცოლის, კეთილი და პატიოსანი კოლმეურნე ქალიშვილის ლეილას ხელში ჩაგდებას ლამობს. ამ საქციელით დრამატურგმა ნოდარის ზნედაცემულობა გაამშვენა. დრამატურგს ძლიერი და ფერადოვანი შტრიხები აღმოაჩნდა ამ პარაზიტული ტიპის ბინძური ბუნების ნათელსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი სიყვარულზე ცოლობიდან აღმოცენდება, იგი არ არის ვიწრო პირადულ-ინტიმურ სფეროში ჩაკეტილი და მარტო სიყვარულისადმი ორგვარ დამოკიდებულებას კი არ გვისურათებს, არამედ ოჯახის, მორალის, მეგობრობისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პრობლემებს ეხმაურება.

პიესის პერსონაჟთა უმრავლესობა მკვეთრად და ცოცხლად მოხაზული ხასიათებია. განსაკუთრებით ხელშესახებად არიან ნაჩვენები ნოდარი, ლეილა და მიხუცი მეწოსქვილე ამბაკო. ეს ხასიათები გრ. ბერძენიშვილის მხატვრულ ალღოზე მეტყველებენ. ბენებრივობითა და რეალისტურობით გამოირჩევიან სხვა მოქმედი პირებიც (მამია, ელისაბედი, მართა, ანეტა). თვით ეპიზოდურ პერსონაჟებსაც კი ავტორი დამამახსოვრებელი კოლორიტულობით და სცენიური პლასტიკურობით გვაწვდის.

მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ იგრძნობა მოქმედების გაჭიანურება, პიესის სიუჟეტი ძირითადად საინტერესოდ და დინამიკურად ვითარდება. პიესას სხარტი, მოსწრებული დიალოგი ახასიათებს, იგი მდიდარია კვიმატი სიტყვით, ხალხური იუმორით და იდიომატიკით. პიესა გულწრფელი განცდით არის დაწერილი და სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ნაზი ლირიზმიც.

მაგრამ ამ ღირსებებთან ერთად პიესას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლიც, რაც ძირითადად მთავარი ხასიათების გააზრებაში გამომჟღავნდა.

ნოდარს თავისი მეგობრის საცოლე მოეწონა და მის მიმართ ვნებით აღივსო. ჯიუტი და თავნება ყმაწვილი არაფრის წინაშე არ იხევს და ურცხვად ლამობს ქალის გადაბირებას. გადაიხრება თუ არა ქალი მისკენ, დამამარცხებს თუ არა სულმდაბალი ნოდარი პატიოსან მამას, ეს როდია მთავარი; დრამატურგმა უკვე შეძლო ეჩვენებინა ზნედაცემული ადამიანის საზიზღარი მეობა და შეეჯავრებინა იგი მაყურებლისათვის. ეგოისტი ნოდარი სიუჟეტურად გამარჯვების შემთხვევაშიც კი ნიღაბახდილი და დამარცხებული. ხოლო მამია ბრძოლების შემთხვევაშიც კი ჩვენი სიმპათიისა და თანგრძნობის საგანი იქნება. მაგრამ ლეილა სწორად გაეჭკვევა გრძნობებში და დროებითი ყოყმანის შემდეგ მაჯის უბრუნდება.

ამრიგად, კონფლიქტის საერთო გადაწყვეტაში ავტორის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, მაგრამ ზოგიერთი ხასიათის განვითარებაში ერთგვარ შეუსაბამობას ვხედავთ. საქმე ის არის, რომ ნოდარი პირველ მოქმედებაში „ნამდვილი“ ნოდარია — ეგოისტი, პატივმოყვარე, ბილწი და შურიანი. მესამე მოქმედებაში კი (თვითმკვლელობის ცდის შემდეგ) იგი გულწრფელად შეყვარებულისა და ტანჯული მიჯნურის როლში გვეკონება. ეს კი თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ერთგვარ რეაბილიტაციას უკეთებს მის საქციელს, რაც აქამდე გამომჟღავნებული ავტორისეული ტენდენციის საწინააღმდეგოა. ნოდარი უნდა შევიძაგოთ, გავკიცხოთ, იგი მხოლოდ ზიზღს იმსახურებს. და როცა ყოველივე ამის მაგიერ ავტორი და თეატრი მელოდრამატულ ყაიდაზე ნოდარის „უბედური სიყვარულის“ ამბავს გვაჩვენებენ, ისინი ამით ამცირებენ უარყოფის დამოკიდებულებას მისადმი. ხომ არ იჩინა აქ თავი, პატარა რეკიდივის სახით კონფლიქტების შერიგებისა, წინააღმდეგობათა ნიველირების, უარყოფითის სწორაფი ფერისცვალების იმ ტენდენციებმა, რომლებიც ესოდენ ნიშნეული იყვნენ ჩვენი დრამატურგიისათვის განვლილ ეტაპზე?

ლეილას ყოყმანსა და ნოდარისაკენ დროებით გადახრაში არაფერია არაბუნებრივი; ხდება ხოლმე, რომ პატიოსანი ყალიშვილები ღირსეულთა სიყვარულს გულდახურულნი ხვდებიან და უღირსებს კი ერთბაშად ხელს გაუწვდიან. მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქაც ლეილას საქციელი იმდენად მისი ხასიათიდან როდი გამომდინარეობს, რამდენადაც ავტორის ნებასურვილიდან. ლეილას ყოყმანი რომ არა, მოქმედებაც ხომ უფრო ადრე დასრულდებოდა, მისი სიმძაფრეც მოიკლებდა და, რაც მთავარია, არც მოქანავე ლერწამი გვექნებოდა.

ეჭვს იწვევს ბაბუ ამბაკოს პოზიციაც. დრამატურგს მოხუცის ტაქტიანი ჩაურევლობა, ფაქიზი და ფრთხილი ზემოქმედების ჩვენება სურდა, ობიექტურად კი უპრინციპობა ჩაადენინა. ამბაკო არსებითად შვილიშვილის გრძნობა-ცვალებადობას უწყობს ხელს იმის მაგიერ, რომ სწორ ორიენტირებაში დაეხმაროს.

ახალგაზრდა რეჟისორმა გ. პატარაიამ შეძლო მსახიობთა მიერ პიესის სახეების რეალისტური გახსნის უზრუნველყოფა, ანსამბლურობის მიღწევა და დასრულებული, მხატვრულად საკმაოდ შთამბეჭდავი სპექტაკლის შექმნა. ეს იმის შედეგია, რომ იგი მხატვრის ინტერესითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდებია საქმეს. მაგრამ პიესის რეჟისორული გადაწყვეტის საერთო დამაკმაყოფილებლობის მიუხედავად, არ შეიძლება ზოგიერთი რამ არ ვუსაყვედუროთ მას. უპირველეს ყოვლისა სუსტი, ნაკლებად მეტყველი ფინალი. პიესის მიხედვით ნოდარი არ ურიგდება ლეილას დაკარგვას. პირიქით, იგი შურისძიებასაც კი ცდილობს, მაგრამ მამიას და ლეილას მეგობრები, რომლებსაც პიესაში ტიპიური დადებითი გარემოს ერთგვარი წარმომადგენლობა ეკისრებათ, წინ აღუდგებიან თავზეხელაღებულ ჯაბუკს. რეჟისორმა და თეატრმა რატომღაც მოინდომეს ნოდარის დაუსაბუთებელი გაკეთილშობილება და ამით გაუმარჯვებლად შეარბილეს წინააღმდეგობანი. თუ პიესაში ნოდარი მზად არის დანით ეცეს მამიას, სპექტაკლში იგი ვარდს ესვრის მას. არა გვგონია ეს მართალი იყოს: ნოდარისთანა „ვაჟკაცები“ ვარდებს თავისთვის იტოვებენ, სხვებს კი ქვებს ესვრიან.

თუ ამ შემთხვევაში რეჟისორი შეცდა, როცა ავტორისეულ ტექსტს არ გაჰყვა, სამაგიეროდ მეორე შემთხვევაში იმით დააშავა, რომ გაჰყვა მას; მხედველობაში გვაქვს მე-3 მოქმედების ის მელოდრამატული სცენები, რომლებიც ასუსტებენ ნოდარის დაგმობა-გაკიცხვის პირველდასახულ სწორ გზს. საკითხი არ უნდა გაბუნდოვანებულიყო: ნოდარისთანა ადამიანებს არ ძალუძთ ჭეშმარიტი სიყვარული. რეჟისორს აქ მეტი ორიგინალობა, მეტი დამოუკიდებლობა უნდა გამოეჩინა და არ დაკმაყოფილებულიყო პიესის უბრალო სცენიური ილუსტრაციით. ორიოდე სცენაში მინორულ ტონალობასა და ოდნავ შენელებულ რიტმს გარდა, მთლიანად სპექტაკლი ხალისიანი ტემპით მიდის და მსახიობთა სადა, ბუნებრივი შესრულებით გამოირჩევა.

პიესაში ყველაზე უფრო სრულად და შთამბეჭდავად ნოდარის ჯიუტი და თავნება ხასიათია გამოკვეთილი. ნიჭიერმა მსახიობმა კ. მახარაძემ ოსტატურად გამიძერწა მისი სცენიური სახე (იმ ასპექტში, რომელიც მას რეჟისორისაგან ჰქონდა მიცემული). განსაკუთრებით კარგად და ტემპერამენტიანად ატარებს მსახიობი პირველ მოქმედებას, მასში კ. მახარაძემ შეძლო მეტყველი შტრიხებისა და ბუნებრივი დეტალების უნარიანი გამოყენებით შეექმნა განებივრებული ინდივიდუალისტის ტიპიური სახე. მაგრამ ეს სცენიური სახე ჯერ კიდევ ვერ არის ბოლომდე დახვეწილი. მე-3 მოქმედების ზოგიერთ ადგილას იმ ძველი როლების რემინისცენცია მოჩანს, რომლებიც კ. მახარაძეს ადრე უთამაშნია (განსაკუთრებით ხმაში), ორიოდე შემთხვევაში კი მსახიობი მელოდრამატიზმში ვარდება.

ირ. უჩანეიშვილი, რომელიც მამიას როლს რეალისტურად და საადად განასახიერებს, თითქოს ცოტა შებორკილია. ეს შებორკილობა პროვინციელი ბაბუკის ხალხში გამოუსვლელობის მხატვრული ჩვენების შედეგი კი არ არის, არამედ აქტიორული დახასიათების სიძუნწისა და გაუბედაობისა, რაც სახის სცენიურ სიმკრთალეს იწვევს. ამიტომაც უჩანეიშვილის მამია, სიმართლისა და ბუნებრივობის მიუხედავად, ნაკლებ დამამახსოვრებელია.

მსახიობმა მ. ჩახავამ კარგად დაძლია ფსიქოლოგიური სირთულით აღბეჭდილი როლი და მისთვის დამახასიათებელი შინაგანი დამაჯერებლობით გადმოგვცა ახალგაზრდა ქალიშვილის გრძნობათა ჭიდილი. მისი ლეილა მიმზიდველი და მხატვრულად შთამბეჭდავი სახეა.

ჭეშმარიტი ოსტატობით, დიდი შინაგანი სითბოთი და ღრმა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით განასახიერებს მსახიობი გ. საღარაძე მოხუცი ამბაკოს კოლორიტულსა და მიმზიდველ სახეს. მისი თამაშის ყოველი დეტალი გაბრწყინებული და დახვეწილია.

პიესაში სამი დედაა ნაჩვენები. რამდენადაც ორი მათგანისადმი სითბოსა და სიმპათიას გრძნობთ, იმდენად მესამისადმი ანტიპათიით იმსჭვალებით. მართა და ელისაბედი პატიოსანი, გამრჯე, კეთილი ადამიანები არიან. ამ აღრე დაქვრივებულმა ქალებმა მამის მაგიერობაც გაუწიეს შვილებს და კეთილ გზაზე დაყენეს ისინი. მსახიობებმა თ. ჩარკვიანმა და ლ. ღამბაშიძემ ჭართველ ქალთა მართალი პორტრეტები შექმნეს. გულკეთილობასთან ერთად მათ ვეკაცური შემმართებლობაც ახასიათებთ.

თ. ჩარკვიანი მამიას დედის როლში მკაფიო ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. მან შესანიშნავად შეასხა ხორცი ამ ხასიათს და სიუჟეტურად მეორეხარისხოვანი როლი ერთ-ერთ ყველაზე მართალ და დამამახსოვრებელ სახედ აქცია.

დამახასიათებელი შტრიხების კარგი მიგნებით, მათი ნიჭიერი გამოყენებით და ხასიათის კოლორიტული დეტალების ოსტატური ორნამენტირებით მსახიობმა ლ. ღამბაშიძემ ორიგინალური სცენიური სახე შექმნა. მისი ელისაბედი (ლეილას დედა) დიდი შინაგანი სიმართლითა და ბუნებრივობით ხასიათდება.

სწორად განასახიერა თ. თეთრაძემ ნოდარის დედა ანეტა, ეს „გულშემატკივარი დედიკო“, რომელიც ნებიერი აღზრდით შვილს ჭეშმარიტ გზას აცდენს და სარეველად აქცევს.

გ. დავითაშვილის მიერ განსახიერებულ ილარამს აკლია განცდის ის სიღრმე, ის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, ურომლისოდაც ხასიათი, უარყოფითი იქნება თუ დადებითი, მუდამ სქემად რჩება. ჩანს ქართული სცენის ეს შესანიშნავი

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი

1957 წლის 7 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ჩ. ბოლენი და გადასცა მას შემდეგი ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის პატივისცემას უდასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს შემდეგი:

ა. წ. 25 იანვარს 14 საათსა და 20 წუთზე საბჭოთა მოქალაქემ ვ. ი. ხმელევსკიმ, რომელიც ქალაქ ლენინგრადში პოლიტექნიკურ ქუჩაზე მიდიოდა, ყურადღება მიაქცია ორი ჩამაკაცის საეჭვო საქციელს. ერთ მათგანს ეცვა ტყავის ზიპაკისფერი პალტო ბეწვის საყელოთი და ეჭირა შავი ყურიანი ქუდი, ხოლო მეორეს შავი პალტო და შავი ყურიანი ქუდი. ეს პირები გაჩერდნენ იმ სახლის ღობესთან, რომელიც ერთ-ერთი თავდაცვითი ობიექტის შენობის პირდაპირ შენდება. მოქალაქე ხმელევსკიმ შენიშნა, რომ ტყავისპალტოიანმა უცნობმა მკერდზე გადაიხსნა პალტო და გამოუჩნდა ფოტოაპარატი, რომელიც მიმართული იყო თავდაცვითი ობიექტისაკენ. მეორე მოქალაქე, რომელსაც შავი პალტო ეცვა, ცდილობდა მოფარებოდა ფოტოაპარატიანს, რისთვისაც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს პაპიროსს უკიდებდა.

უცნობთა ამ საეჭვო მოქმედებაზე მოქალაქე ხმელევსკიმ ყურადღება მიაქცევინა ამ ქუჩაზე მიმავალ მოქალაქე მ. ტ. კავალკინს, რომელიც მივიდა უცნობებთან და, დაინტერესდა რა, თუ რას აკეთებდნენ ისინი, უთხრა, რომ აღნიშნული დაწესებულებების სურათის გადაღება არ შეიძლება.

ტყავისპალტოიანმა მოქალაქემ სწაფად შეიკრა პალტო და განაცხადა, მე სურათს არ ვიღებო. მაშინ მოქალაქე კავალკინმა ჰკითხა, პალტოს ქვეშ მკერდზე რა გაქვსო და ხელით შეეხო იმ ადგილს, სადაც ფოტოაპარატი იყო. ტყავისპალტოიანმა უცნობმა ძლიერ ჰკრა ხელი მოქალაქე კავალკინს, და იგი წაიქცა ქუჩის სასვლელ ნაწილში. მეორე უცნობიც, რომელსაც შავი პალტო ეცვა, უტევდა მოქალაქე კავალკინს, როცა იგი დგებოდა. ამ დროს შემთხვევის ადგილს მივიდა მოქალაქე მ. ი. ხმელევსკი, აგრეთვე მივიდნენ უცნობ მოქალაქეები ამ მოქმედების მნახველნი პ. ა. გალანცევი, ნ. ს. კაჩანოვი, ა. ნ. ჩერნიაევი და ა. პ. ეფრემოვი. როცა ტყავისპალტოიანი უცნობი მოქალაქე კავალკინს უბიძგებდა, პალტოდან გამოუვარდა ფოტოაპარატი უობიექტივოდ და ლითონის ძეწკვი. ობიექტივი ხელში ეჭირა უცნობს. დავარდნილი ფოტოაპარატი და ძეწკვი აიღეს დამსწრე საბჭოთა მოქალაქეებმა და გადასცეს ამ დროს მისულ მილიციის თანამშრომელს კაპიტან მიტროფანოვს. შემთხვევის გამოძიების გამოსარკვევად და უცნობთა პიროვნების დასადგენად კაპიტანმა მიტროფანოვმა სთხოვა უცნობთ და მოწმეთ გაჰყოლოდნენ მილიციის მეცხრამეტე განყოფილებაში, სადაც დოკუმენტების შემოწმებისას გამოირკვა, რომ უცნობები არიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ატაშეს თანაშემწეები კაპიტანი პ. რ. უფელმანი და ლეიტენანტი უ. ს. ლუისი ნამდვილად იღებდნენ ფოტოაპარატით თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტებს, რომლების ფოტოგადაღება ნებადაურთველია, ესე იგი ეწეოდნენ ჯაშუშურ-დაზვერვითს საქმიანობას.

რამდენადაც კაპიტან პ. რ. უფელმანისა და ლეიტენანტ უ. ს. ლუისის აღნიშნული საქმიანობა არ შეესაბამება აკრედიტებულ დიპლომატიურ მუშაკთა მათს სტატუსს, სამინისტრო აცხადებს, რომ მათი შემდგომი ყოფნა საბჭოთა კავშირში სასურველი არ არის.

სამინისტრო მოელის, რომ საელჩო მიიღებს ღონისძიებებს კაპიტან უფელმანისა და ლეიტენანტ ლუისის დაუყოვნებლივ გამგზავრებისათვის საბჭოთა კავშირიდან.

რაც შეეხება პროტესტს, რომელსაც შეიცავს საელჩოს ა. წ. 29 იანვრის № 599 ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს კაპიტან უფელმანისა და ლეიტენანტ ლუისის დიპლომატიური იმუნიტეტი დაარღვიეს ლენინგრადის მილიციის თანამშრომლებმა, ზემოაღნიშნული შემოწმებული ფაქტების გამო სამინისტრო ამ პროტესტს არ იღებს, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულს“.

ნოტის მიღებისას ელჩმა ჩ. ბოლენმა განაცხადა, რომ კაპიტანი უფელმანი და ლეიტენანტი ლუისი უახლოეს დღეებში გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირიდან.

# სსრ კავშირის საელჩოს პასუხი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაზე

ტელ-ავივი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, იანვრის დამდეგს სსრ კავშირის საელჩომ ტელ-ავივში მიიღო ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომლითაც იგი, იმოწმებდა რა საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების მიერ ისრაელის ფირმებისათვის ნავთობისა და მილების მიწოდების კონტრაქტების გაუქმებისათვის“, ამასთან დაკავშირებით 6 თებერვალს სსრ კავშირის საელჩომ ისრაელში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1956 წლის 28 დეკემბრის ნოტასთან დაკავშირებით პატივი აქვს გაცნობოთ შემდეგი.

იმ კონტრაქტების გაუქმება, რომლებიც საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა ისრაელის ფირმებთან დადეს ისრაელისათვის ნედლი ნავთობის, მაზუთისა და მილების მიწოდებაზე, იმის შედეგი იყო, რომ ისრაელის მთავრობამ თავისი აგრესიული მოქმედებით ეგვიპტის წინააღმდეგ შეუძლებელი გახადა ამ კონტრაქტების შესრულება.

უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის მთავრობა თავის 1956 წლის 31 ოქტომბრის განცხადებით გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც დაკავშირებული ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებასთან, მთლიანად ეკისრება მთავრობებს, რომლებიც დაადგნენ მშვიდობისა და უშიშროების დარღვევის გზას, აგრესიის გზას.

ამრიგად, ისრაელის მთავრობის განზრახვა პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული კონტრაქტების გაუქმებისათვის სსრ კავშირის მთავრობას დაეკისროს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს“.

# გერმანელ და ფრანგ მუშათა მოქმედების ერთიანობისათვის!

### გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებისა და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ერთობლივი განცხადება

ბერლინი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ბერლინში გაიმართა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებისა და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ეხება ორივე ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის მხრივ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივნებმა ბერნუა ფრაშონმა და ალენ ლე ლეპმა, აგრეთვე კონფედერაციის სამდივნოს წევრებმა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების მთავარი გამგეობის თავმჯდომარემ ჰერბერტ ვარნკემ და გაერთიანების სამდივნოს წევრებმა.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თანამშრომლობამ წარსულ წლებში დადებითი შედეგი მოიტანა. ფრანგი და გერმანელი მუშების ერთობლივი ბრძოლას შედეგად მოხერხდა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმების ჩაფუშვა და გერმანიის მილიტარიზმს აღორძინების შეფერხება. ამით შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის საქმეში.

მაგრამ ომის საშიშროება, აღნიშნულია განცხადებაში, აღმოფხვრილი არ არის. მშვიდობას ემუქრება „ეიზენჰაუერის დოქტრინა“ და ნატოს ამერიკელ და დასავლეთგერმანელ პოლიტიკოსთა პროვოკაციული მოქმედება. ევროპაში აგრესიული გეგმებით გამოდიან დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები. ყოფილი ჰიტლერელი გენერალი შაიდელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მონაწილეობას იღებდა ფრანგი ხალხის დამონებაში, დანიშნულია ნატოს დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ჯარების სარდლად.

ეგრეთწოდებული „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმების შესახებ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ასეთი პროექტის განხორციელებას მოჰყვებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის დეზორგანიზაცია და ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფა.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებმა დიდი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული წარმატებები მოიპოვეს.

ითვალისწინებენ რა გერმანიისა და საფრანგეთის მუშათა კლასის ერთობლივ ინტერესებსა და მიზნებს, ნათქვამია განცხადებაში, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია გამოთქვამენ მზადყოფნას ერთად იბრძოლონ გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალისა და ნატოს პოლიტიკის წინააღმდეგ; პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა უზრუნველყოფისა და გაფართოებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისა, რეალური ხელფასის გადადებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის საერთო ამაღლებისათვის; საყოველთაო განიარაღებისათვის; უცხოეთის მთელი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, ატომური იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვისათვის; ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია მიმართავენ გერმანელ და ფრანგ მუშებს მოწოდებით გაერთიანონ თავიანთი ძალები, მჭიდრო კავშირი დაამყარონ პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის, გაცვალონ დელეგაციები, ერთად განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება ორივე ქვეყნის მუშების ინტერესებს და განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი მათი ინტერესების დასაცავად. ფრანგ და გერმანელ მუშათა ერთობლივი ბრძოლის გაძლიერების მიზნით, აღნიშნულია დასასრულ განცხადებაში, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებამ და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მიიღეს გადაწყვეტილება გამოცდალებისა და ინფორმაციის რეგულარულად გაცვლის შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან და საფრანგეთის ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად აწარმოონ ბრძოლა მშვიდობისა და მუშათა ინტერესების დასაცავად. გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია დაუცხრომლად იბრძოლებენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განმტკიცებისა და პროფკავშირთა საერთაშორისო ერთიანობისათვის.

# მარშალი გ. კ. ჟუკოვი ინდოეთში

კალკუტა, 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კალკუტაში მიმავალნი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები ჩავიდნენ ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე დიდ ნავსადგურ ვისაკჰაპატნამში. ვისაკჰაპატნამი ინდოეთის მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. გარშემოა მანგოს ტყეები, ბანანის, ჩაის, წიწაკის, დარიჩინის პლანტაციები. ქალაქის ახლოს იღებენ მარგანეცს. ვისაკჰაპატნამის ნავსადგურში საბჭოთა კავშირიდან გემებს მიაქვთ ფოლადის კონსტრუქციები ბჰილაის მეტალურგიული ქარხნისათვის.

მარშალს შეხვდნენ სამხედრო-საზღვაო ბაზის უფროსი კაპიტანი რ. ს. დავიდი, სარდლობის ბაზის წარმომადგენლები და ქალაქის სამოქალაქო ხელისუფალნი.

მანქანები მიდიან გარეუბნის ქუჩებით. ახლებზეა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ალმები. ფუჩეზე გადაჭიმულია მისასალმებელი ლოზუნგები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“. მცხოვრებნი ჩამწკრივებულან ქუჩების გაყოლებით და საბჭოთა სტუმარს ხვდებიან.

„ჰინდუსტან შიპიარდ ლიმიტედის“ ვერფში მარშალს შეხვდა ვერფის მმართველი რ. ლ. გუპტა. ვერფში მუშაობს 3.700 მუშა, 600 მოსამსახურე და 27 ინჟინერი. ვერფი ფართოვდება.

გაეცნო რა კონსტრუქციული და ტექნიკური ბიუროს მუშაობას, გ. კ. ჟუკოვი შევიდა სახომალდო საამქროში. აგ შეიძლება ნახოთ თავისებური მაღალი მექანიზაცია და პრიმიტიული ხელის შრომა. მარშალი ესაუბრება მუშებს.

შემდეგ მარშალი გაემართა საზღვაო იუნგების სკოლაში, სადაც დაათვალიერა სკოლის კლასები და სათავსები. ბიბლიოთეკის ერთერთ დარბაზში გამოფენილია მასალები ინდოეთის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამბების შესახებ, არის ფოტოსურათები ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ.

სკოლის ოფიცერთა კლუბში მარშალს წარუდგინეს სკოლის ოფიცრები, მათ შორის 30 წლის სამხედრო-საზღვაო ექიმი ქალი ლეიტენანტი კ. კ. სივაკანი. მას დაუმთავრებია მადრასის უნივერსიტეტი და უკვე სამი წელიწადია მუშაობს სკოლაში. მარშალი მიესალმება და ეუბნება: ძლიერ სასარგებლო სპეციალობა აგირჩევიათ. ექიმები არმიაში დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

მარშალი სკოლის მეთაურებსა და ოფიცრებს გადასცემს სამახსოვრო საჩუქრებს: საბჭოთა საზღვაო ატლასს, საბჭოთა არმიის სამახსოვრო ნიშნებს, საბჭოთა სატორპედო კატერის მოდელს და პატარა სამხედრო ბიბლიოთეკას. ინდოელი სამხედრო მეზღვაურები მადლობას უხდიან საჩუქრებისათვის. გაისმის მისასალმებელი შემახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს მარშალ ჟუკოვს!“.

ვისაკჰაპატნამში ინდოელმა კორესპონდენტებმა მიმართეს გ. კ. ჟუკოვს თხოვნით გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი ინდოეთში მოგზაურობის შესახებ. მარშალმა უთხრა: ინდოეთში ყველგან ვნახე დიდი შემოქმედებითი მუშაობა. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მთელი ინდოელი ხალხი გამსჭვალულია ენთუზიაზმით აშენოს ახალი ინდოეთი. ამას მოწმობენ ის ქარხნები და საწარმოები, რომლებიც მე დავათვალიერე.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

### პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე საერთო დისკუსიაში ალეირის საკითხზე გამოვიდნენ ესპანეთის, საფრანგეთის, ავღანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

ესპანეთის დელეგატმა ხოსე ფელის ლეკერიკა ი ერკისამ მხარი დაუჭირა საფრანგეთის დელეგაციის პოზიციას, რომ გენერალურმა ასამბლეამ არ მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ალეირის საკითხზე, არამედ დარჩეს იმის უბრალო მეთვალყურედ, რაც ამ ქვეყანაში ხდება.

საფრანგეთის წარმომადგენელი სუსტელი ცდილობდა უარყოფ მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც 5 თებერვალს გამოთქვა სირიის წარმომადგენელმა ალეირში საფრანგეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შესახებ.

ავღანეთის წარმომადგენელმა აბდულ ჰამიდ აზიზმა მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც კომიტეტში შეიტანა აზიისა და აფრიკის ქვეყნების 18 დელეგაციამ. ამ პროექტის ავტორები წინადადებას იძლევიან, რომ გენერალურმა ასამბლეამ ცნოს ალეირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, მოუწოდოს საფრანგეთს გამოეხმაუროს ალეირელი ხალხის იმ სურვილს, რომ განახორციელოს ეს თავისი უფლება და წინადადება მისცეს „საფრანგეთსა და ალეირელ ხალხს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სამარი მოქმედების შეწყვეტისა და მათი უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წინადადება ეძლევა ხელი შეუწყოს ამ მოლაპარაკებას და მოახსენოს იგი გენერალური ასამბლეის XII სესიას.

ავღანეთის დელეგატმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალეირის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთ გზას წარმოადგენს ის, რომ საფრანგეთმა ცნოს ალეირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, რაც დადასტურა ბანდუნგის კონფერენციამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო კაცობრიობის უმეტესი ნაწილი.

ამერიკის დელეგატმა ლოჯმა მხარი დაუჭირა ალეირის საკითხის „მოწესრიგების პროგრამას“, რომელიც საფრანგეთმა წარმოადგინა. ლოჯმა მკვეთრად გაილაშქრა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა წარმოადგინეს.

# არაბთა ქვეყნების და აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტი აღქირის საკითხზე

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გაავრცელა რეზოლუციის პროექტი ალეირის საკითხზე, რომლის ავტორები არიან ავღანეთის, ბირმის, ცეილონის, ეგვიპტის, იორდანეთის, ირანის, ერაყის, ტუნისის, ლიბანის, ლიბიის, მაროკოს, ნეპალის, პაკისტანის, სუდის არაბეთის, იორდანიის, სუდანის, სირიის, იემენის დელეგაციები.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„გენერალური ასამბლეა,

ითვალისწინებს რა შფოთის მდგომარეობას და ბრძოლას ალეირში, რაც დიდ ტანჯვას აყენებს ადამიანებს და აღღვევს ქვეყნების ჰარმონიულ ურთიერთობას;

აღიარებს რა ალეირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად,

1. მოუწოდებს საფრანგეთს გამოეხმაუროს ალეირელი ხალხის სურვილს განახორციელოს თავისი თვითგამორკვევის განუყოფელი უფლება;

2. წინადადებას აძლევს საფრანგეთსა და ალეირელ ხალხს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება, რათა შეწყვიტონ სამარი მოქმედება და მშვიდობიანად მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად;

3. მოუწოდებს გენერალურ მდივანს დაეხმაროს მხარეებს ასეთი მოლაპარაკების მოწყობაში და მოახსენოს გენერალური ასამბლეის XII სესიას“.

# ჯოუ ენ-ლაი სამშობლოში დაბრუნდა

პეკინი, 6 თებერვალი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და პრემიერის მოადგილე ხე ლუნი ჩამოვადნენ კუნმინში (იუნანის პროვინცია).

# ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ბაზას აშენებენ ბრაზილიის კუნძულ ფერნანდო დე ნორონიაზე

მონტევიდეო, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, იანვარში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრაზილიას შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც ბრაზილიის კუნძული ფერნანდო დე ნორონია ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაეცა იქ ამერიკის სამხედრო ბაზის ასაშენებლად. ამ დღეებში ბრაზილიის გაზეთმა „კორეიო და მანჰამ“ მოათავსა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ შეთანხმების ხელმოწერის სამი თვით ადრე ამერიკელებმა უკვე შეასრულეს ეროფოტოგადაღებისა და ტოპოგრაფიული სამუშაოები მომავალი ბაზის ადგილზე.

აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყონ თებერვლის დამლევს და დამთავრონ ამა წლის აგვისტომდე, „კორეიო და მანჰა“ ხაზს უსვამს, რომ ეს მოწმობს სიჩქარეს, რომლითაც შეერთებული შტატები აპირებენ დაამთავრონ ბაზის შექმნა კუნძულ ფერნანდო დე ნორონიაზე.

# მდგომარეობა ჰაიტზე

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ქალაქ პორტ-ო-პრენსიდან (ჰაიტი) იუწყება, სამი დღის საყოველთაო გაფიცვის შედეგად ჰაიტის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ჟოზეფ ნემურ პიერ-ლუი გადადგა. კორესპონდენტის სიტყვით, გაფიცვის მიზეზი გახდა უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ პიერლუის მთავრობა აპირებდა „დასაბრუნებელი გზა გაეკაფა“ ჰაიტის ყოფილი პრეზიდენტის მაგლუარისათვის (როგორც ცნობილია, შარშან დეკემბერში მაგლუარი იძულებული გახდა ჰაიტიდან წასულიყო მას შემდეგ, რაც წარუმატებლად სცადა განეგრძო ხელისუფლების სათავეში ყოფნა).

ჰაიტის ეროვნული ასამბლეა (პარლამენტი) განიხილავს დროებითი პრეზიდენტის დანიშვნის საკითხს.


დაიწყო ხელისმოწერა ახალ ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ილუსტრირებულ ჟურნალზე „Советская молодёжь“ — საკავშირო ალკკ ცკ-ის ორგანო.

ჟურნალი გამოვა მარტიდან **რუსულ, ინგლისურ, ჩინურ, გერმანულ, ფრანგულ** და **ესპანურ ენებზე** და გააშუქებს საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებას, შრომის და სწავლის პირობებს, ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეთა და სტუდენტების მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში, ახალგაზრდობის ბრძოლას მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის.

**ხელმოწერის ფასი წლის ბოლომდე 30 მანეთია.**

**ხელმოწერა მიიღება 15 თებერვლამდე.**

**„სოიუზპეჩატი“.**



**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ტყის კულტურების განყოფილებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — 1 ერთეული; სატყეო მეურნეობის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — 0,5 ერთეული და უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — 1 ერთეული.

განცხადება და ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში 20 დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 58.



**ტელეგადაცემათა პროგრამა 9 თებერვლისათვის**

20.00 — ყველაზე პატარებისათვის — ნახატი ფილმი „ძველი ამბავნაგები“
20.20 — ნარკვევი „აკაკი წერეთელი“
20.30 — კონცერტი ბულგარელი მომღერლების გაუბიჩის, ზდრავკოვისა და მინევის მონაწილეობით
20.45 — მხატვრული ფილმი.


# სიახლენი თბილისის ხორცკომბინატში

თბილისის ხორცკომბინატი დიდ როლს ასრულებს არა მარტო ქალაქის მოსახლეობის ხორცით, ძეხვეულით, ნახევარფაბრიკატებით მომარაგების საქმეში, არამედ აქ მზადდება აგრეთვე სამკურნალო პრეპარატები და ფარმო მოხმარების საგნები.

ბოლო ხანებში ბევრი რამ ახალი დაინერგა და ბევრი გაუმჯობესება იქნა შეტანილი ხორცკომბინატის მუშაობაში. ახლა მას შეუძლია მიიღოს და გადაამუშაოს დღეში 600 მსხვილფეხა და ორი ათასზე მეტი წვრილფეხა პირუტყვი. ამჟამად კომბინატი ყოველდღიურად ამზადებს 18-20 ტონამდე ყველა სახის ძეხვეულს, ნახევარფაბრიკატებიდან ათეულ ათასობით ცალ კატლეტს, ციმბირულ პელმენს და სხვ.

გასულ წელს საძეხვე საამქროს რეკონსტრუქციაზე 340.000-ზე მეტი მანეთი დაიხარჯა. რეკონსტრუქციის შემდეგ ამ საამქროს წარმადობა დღეში 15-დან 20 ტონამდე გაიზარდა. მოეწყო ახალი საწრობი მაგრადშებოლილი ძეხვის გამოსაშვებად. უკვე გამოშვებულია ათობით ტონა ახეთი ძეხვი.

სექტემბრიდან კომბინატში შექმნილია ბეწვიანი სუბპროდუქტების (ფეხების, ყურების, უმეტესად სახაშე მასალის) ნაკადური წარმოება. ახლახან მოეწყო საკანი გაყინული ხორცისა და სუბპროდუქტების ფორმებიდან ამოღებისათვის, რაც მანამდე პრიმიტიულად ხდებოდა, მოეწყო აგრეთვე სიცივის მიმწოდებელი ორი ბატარია ქონის ნედლეულის გასაცივებლად, რაც საშუალებას იძლევა მიიღონ მხოლოდ უმაღლესი და პირველი ხარისხის გადამდნარი ქონი.

რამდენიმე თვეა მუშაობს მანქანა, რომელიც მუყაოსაგან აკეთებს კოლოფებს ციმბირული პელმენების ჩასაწყობად. მან მხოლოდ ერთი სახის პროდუქციის გამოშვებაზე უზრუნველყო 10 მუშის გათავისუფლება და დიდძალ ფულად ეკონომიას იძლევა.

კომბინატში მუშაობს ორგანო-თერაპიული პრეპარატების ქარხანა. იგი ამზადებს 13 სხვადასხვა სახის დიდად საჭირო პროდუქციას. ამ ქარხანას ჰყავს გამომგონებლები, რომლებიც სისტემატურად აუმჯობესებენ პრეპარატების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს. მაგალითად, უფროსი ოსტატი კ. ვაინშტეინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეიძლება ზოგიერთი პრეპარატის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა. დიდი ძიების შემდეგ მან შეცვალა სისხლნაკლულობის საწინააღმდეგო ამპულის „კამპალონის“ დამზადების ტექნოლოგიური პროცესი. ამჟამად მისი დამზადების დროს წელიწადში იზოგება 41.000 კილოგრამი ღვიძლი — პრეპარატის დასამზადებლად საჭირო ნედლეული. ვაინშტეინის წინადადება უკვე დანერგილია მთელ საბჭოთა კავშირში.

პრეპარატების ქარხანამ ახლახან აითვისა ეშიახის საწინააღმდეგო პრეპარატის გამოშვება. მუშაობენ ღვიძლის სამკურნალო პრეპარატის „გეპოვიტის“ შესაქმნელად და სხვ.

წინათ კომბინატი ბევრ ნარჩენს (ჩლიქებს, რქებს, ძვლის ნარჩენებს და სხვ.) ვერ იყენებდა. პირველ ხანებში დაიწყეს ამ ნარჩენებისგან სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი ღილების დამზადება. ახლახან კი აქ აითვისეს მხატვრული ნივთების — ყანწების, საფერფლეების, აგრეთვე სხვადასხვა სათამაშოების დამზადება. გასულ წელს უკვე გამოშვებული ნახევარ მილიონამდე მანეთის ასეთი ნაწარმი.

კომბინატმა მოაწყო დამხმარე მეურნეობა, სადაც ხდება პირუტყვის გასუქება. გასულ წელს გაასუქეს და დაკლეს 3.500 ღორი. ამჟამად გასასუქებლად უყენიათ 600 ღორი. მექანიზებულ ხაღორღებში მოწყობილია ავტომატური საკვებიერები, ავტოსარწყულებლები და სხვ.

**ე. მამალაძე.**

* * *

**სურათზე:** ხორცკომბინატის საძეხვე საამქროს მთავარი ოსტატი პ. მეღალიშვილი (მარჯვნივ) და წუნმდებელი გ. ლებანიძე აწლად მოწყობილ საშობში ამოწმებენ მაგრად შებოლილი ძეხვის შრომას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობა

მოსკოვსა და ლენინგრადში დამთავრდა უძლიერეს კალათბურთელთა კოლექტივების ასპარეზობის პირველი ტური.

ქალთა გუნდებს შორის წინ არის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც 5 თამაშიდან ხუთივე მოიგო და 10 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა მოსკოვის „სტროიტელი“ (8 ქულა). ტარტუს „კალევს“, მოსკოვის „დინამოს“, დედაქალაქის „მეტალურგს“, ლენინგრადისა და როსტოვის „ბურევესტნიკებს“ ექვს-ექვსი ქულა აქვთ, რიგის „დაუგავსა“ და კაუნასის „ყალგირისს“ — ოთხ-ოთხი ქულა, ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის გუნდსა და თბილისის „ბურევესტნიკს“ — ორ-ორი ქულა, კიევის „დინამოს“ — 0 ქულა.

ვაჟთა გუნდებს შორის ოთხმა კოლექტივმა — ალმა-ატის „ბურევესტნიკმა“, მოსკოვის „დინამომ“, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა და ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — რვა-რვა ქულა შეაგროვა, რიგის ოფიცერთა სახლისა და სვერდლოვსკის გუნდებმა — ექვს-ექვსი ქულა, რიგის „სპარტაკმა“, თბილისის „დინამომ“, კაუნასის „ყალგირისმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“ — ოთხ-ოთხი ქულა, ტარტუს „კალევმა“ და კიევის „ბურევესტნიკმა“ — 0 ქულა.

# სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

7 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი მეთორმეტე ტური.

მიკენასი წარმატებით იბრძოდა ნეიმეტდინოვის წინააღმდეგ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამავე ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა ტაიმანოვმა დაამარცხა ანტოშინი, ხასინბანიკის, სპასკი-კორჩნოის და ფურმან-ბრონშტეინის პარტი